სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. შაბათი 8 ივლისი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: [illegible] ш. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 141 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 141

მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიელთა შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს, რომ დუშეთში ანარქიასთან ბრძოლაში თავის მოვალეობის ასრულებ-ს დ' ოს მდ. არაგვში 5 ივლისს დაიღუპა მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიელი

იაკობ გასპაროვი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მომწყობი კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას, რომ 6 ივლისს საღამოს 8 საათზე თავის საკუთარ ბინაზე ვერაგულად მოკლულ იქმნა გაზეთ „მშაკის" დიდი ხნის რედაქტორი და ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე

ამბარცუმ ბოგდანისძე არაკელიანცი

პირველი პანაშვიდი, დღეს სამშაბათს 9 ივლისს საღ. 8 საათზე მიცვალებულის ბინაზე (ქუჩოვ. ქ. № 23 საკ. სახ.) დასაფლავება კვირას 14 ივლისს

(1—1) ა. არაქელიანცის დაკრძალვის მომწყობი კომიტეტი.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივანე როსტომისძე, შვილები: ნინა, მარია, ქსენია, ალექსანდრა, ლოლა, ელენა, რადიშა და გაბრიელ თალაკვაძენი. სიძე პარმენ ლომთათიძე, მშობლები: ბესო და ესმა ძმა ლავრენტი და რძალი სარრა. დები: პასიკო, ფუსუა ნანია და კატუშა კალანდაძენი, სიძეები ლევანტი კვაჭანტირაძე და ლადიკო გოგიბერიძე შვილებითურთ, მაზლები იაგორ და ილიკო თალაკვაძენი, რძლები ლიზა და ევა შვილებითურთ ნათლიები: ფილიპე და სოფიო ნინიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ რომ ხუთშაბათს 11 ივლისს დღის 12 საათზედ ს. ასკანაში (გურია) ასკანის წმ. მაცხოვრის ეკლესიაზე, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ლიზიკო ბესოს ასულის თალაკვაძის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

გულდათუთქულნი: კლიმენტი, მარუსია, ერმოკრატი და როლანდი იესესძე თალაკვაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს რომ ხუთშაბათს 11 ივლისს დღის 12 საათზედ ს. ასკანაში (გურია) ასკანის წმ. მაცხოვრის ეკლესიაზედ გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი რძლის და ნათლიას

ლიზიკო ბესოს ასულის თალაკვაძის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

ჩოხატაურის რაიონის კოოპერატივთა კავშირის „მნათობი-ს" გამგეობა აუწყებს მოკავშირე კოოპერატივებს და ამხანაგებს ამავე ამხანაგობის ინსტრუქტორის ამხ.

სერაპიონ სპირდონის ძე რამიშვილის

გარდაცვალებას. (1—1)

ღრმად და-წუხრებულნი მეუღლე აგრაფინა შვილით, მშობლები ბულბულო და ნესტორ, ძმები: ტარიელ და დავით, რძალი სოფიო და დები: ანეტა ჩხეიძისა და ნიფო გოცირიძისა შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბორჯომში

სილიბისტრო ნესტორისძე ახვლედიანი

დაკრძალვა სოფ. ვანში 11 ივლისს საგვარეულო სასაფლაოზე (1—1)

ოთხშაბათს 10 ივლისს **წრის შენობაში** (გოლოვინის ქ. № 10) საღამოს 7 ნახ. საათზე გაიმართება

პლეხანოვის საღამო

მოხსენებას გააკეთებენ: ი. წერეთელი, ვოლსკი, იშკოვი და სხვ. შემოსავალი გადაიდება პლეხანოვის სახელობის ისტორიული ბიბლიოთეკის დასაარსებლათ.

შესვლა 1 მანეთი. (1—1)

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს 9 ივლისს დანიშნულია

ეროვნული კონცერტი

ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთ მომღერალთა გაძლიერებული გუნდი კომპოზიტორ **ნ. პ. სულხანიშვილის**

ლოტბარობით შეასრულებს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებთ. ქნ კალანდაძის, ოპერის მომღერალ ი. პ. სარაჯიშვილის და ბ. ქ. ინაშვილის მონაწილეობით. განყოფილება 1. კ. ფოცხვერაშვილი—ლაშქრული, შეასრულებს გუნდი. 2. ზ. ფ-ლიაშვილი—ალი ფაშა, შეასრულებს გუნდი. 3. დ. არაყიშვილი—„ნეტავ ქება" ოპ. შოთა რუსთაველიდან" სოლოს შეასრულებს ბ. ინაშვილი. 4. მ. ბალანჩივაძე—სამშობლო ხევსურისა, შეასრულებს სოლოს გუნდთან ბ. ინაშვილი. 5. ნ. სულხანიშვილი—მესტვირული, სოლოს გუნდთან შეასრ. მთ. დიაკ. დ. სალარიძე. განყოფილება 2. 1. ე. ჯაბადარი—ა) სული ობოლი, ბ) სატრფოვ რომანსები შეასრულებს ქ-ნი კალანდაძე, 2. დ. არაყიშვილი—მოგელ', რომანსი შეასრულებს ქ-ნი კალანდაძე, 3. ზ. ფალიაშვილი—ნანა, შეასრ. გუნდი. 4. ა. ყარაშვილი—ა) მრავალ ჟამიერ, ბ) მურია, შეასრულებს გუნდი. 5. ნ. სულხანიშვილი—მაშ გამარჯვება შეასრ. გუნდი. განყოფილება 3. 1. ნ. სულხანიშვილი—გუთნური, სოლოს გუნდთან შეასრ. ი. პ. სარაჯიშვილი, ა) ნანა. ბ) როდესაც გიცქერ. 2) მ. ბალანჩივაძე—გ) შენ გეტრფი მარად... შეასრ. ი. სარაჯიშვილი. დ) ტყემ მოისხა ფოთოლი, დუეტი შეასრულებს ქ-ნი კალანდაძე და ი. პ. სარაჯიშვილი. 3) ნ. სულხანიშვილი—სამშობლო ხევსურისა, სოლოს გუნდთან შეასრ. ი. პ. სარაჯიშვილი. გუნდი გაძლიერებულია (60 ქალ-ვაჟი) აკომპანიმენტს როიალ ე შეასრულებს ქ ნი ნ. მესხიშვილი. **კონცერტზე მოწვეულ არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.** ბილეთები იყიდება ქართულ კლუბის და სახელ. თეატრის კასებში.

კონცერტის გამგე ილიკო აბაშიძე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

რევოლიუცია და სახელმწიფო

კანონი ჩვეულებრივ გამომხატველია ძალთა განწყობილების. ის განსაზღვრავს იმ დამოუკიდებულებებს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს.

მაგრამ ძალთა განწყობილება ცვალებადია, როგორც ცვალებადია თვით საზოგადოება. ამიტომ ისტორიულ განვითარების პროცესში დგება ისეთი დრო, როცა ხელს უშლის ცხოვრების წესიერ მიმდინარეობას და მისი გაუქმება აუცილებელი ხდება.

აქ ხდება რევოლიუცია. ერთ საზოგადოებრივ კლასის ალაგს იჭერს მეორე და ამის მიხედვით თავდაყირა დგება არსებული კანონიც. ამაშია რევოლიუციის ნიშანდობლივი თვისება და არა აჯანყებასა და სისხლის ღვრაში.

მაგრამ ამ უბრალო ჭეშმარიტების გაგება ორგანიულათ არ ეხერხებათ საზოგადოებრივობის გარეშე მდგომ ელემენტებს. ასეთებია ჩვენში ბალშევიკები და ეროვნული დემოკრატები. მკითხველს ნუ გაუკვირდება, რომ ეს ორი უკიდურესი პარტია ერთად დავაყენეთ. მათ შორის ის დიდი მსგავსებაა, რომ ორთავენი საზოგადოების მუქთა ხორა ელემენტების სულისკვეთებას გამოხატავენ—ბალშევიკები ლუმპენ პროლეტარების, ბოსიაკების, ხოლო ეროვნულ დემოკრატები—გარდამავალ და დრო მოჭმულ თავად-აზნაურობის. ამით აიხსნება ის წინააღმდეგობა, რომელშიაც ეს ორი პარტია ვარდება: ბალშევიკები, რომ კითხოთ სოციალიზმს ამყარებენ, ნამდვილათ კი ველურ ტომებიდან იწყებენ მოქმედებას და სადაც ბალშევიკი ფეხს დაადგამს, იქ უეჭველათ ანარქია და ერთმანეთის ხოცვა იჩენს თავს.

ეროვნულ დემოკრატებს რომ კითხოთ, ისინი კერძო საკუთრების ნიადაგზე დგანან და სახელმწიფოებრიობას იცავენ; ნამდვილათ კი იცავენ მემამულეების საკუთრებას და თვითმპყრობელობის დახავსებულ კანონებს.

განა ასე და ამ გზით შეიძლება სახელმწიფოს შექმნა? საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს მიწასთან იქნა გასწორებული ძველი წესწყობილება, მეფეს და დედოფალსაც კი თავი მოჰკვეთეს; მემამულეებს კი მუქთად ჩამოართვეს მამულები და გლეხებს საკუთრებათ დაურიგეს.

ვინ იტყვის იმას, რომ საფრანგეთის იაკობინელები არ წარმოადგენდენ ბურჟუაზიას? და განა ისინი რამეთი გავდენ ჩვენს ნაციონალ-დემოკრატებს?

ესენი კი გამომდგარან და იძახიან: ჩვენ სახელმწიფოებრივი პარტია ვართ, ჩვენ კანონიერების ნიადაგზე ვდგევართო.

განა შეიძლება რომელიმე პარტია ძველ კანონების ნიადაგზე იდგეს და იმავე დროს სახელმწიფოებრივობას ემსახურებოდეს? ვის შეუძლია დღეს შექმნას სახელმწიფო ხალხის უმრავლესობაზე დაუყრდნობლათ?

ამაოდ ცდილობენ ეროვნული დემოკრატები ვისმეს თვალები აუბან: რევოლიუციონერები კი არ ანგრევენ სახელმწიფოს, არამედ აშენებენ, რადგან ისინი ეყრდნობიან ხალხის უმრავლესობას, რომელიც ბატონ-ყმურ ნაშთების გაუქმებას მოითხოვს. ეროვნული დემოკრატები კი ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგ მიდიან და მემამულეების დაცვით სახელმწიფოს აგებას ფიქრობენ.

ფუჭი ოცნებაა, რადგან ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალება არავის ძალუძს.

და ჩვენ ვიბრძოლებთ მანამდის, სანამ არ დავამყარებთ ისეთს წყობილებას, რომელიც ბატონ ყმურ ნაშთების გაუქმებას არ დააკანონებს.

ჩვენ ვიცით, რომ ამით ბურჟუაზიის საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს: სოციალიზმის სამეფოში ვერ გადავფრინდებით ისე, თუ ბურჟუაზიული საფეხური არ გავიარეთ; ჩვენ კი არა გვყავს საკუთარი ბურჟუაზიული პარტია ის ახლა დგება ფეხზე და ამიტომ მისი საქმეც ჩვენ უნდა ვაკეთოთ.

ეს უაღრესათ სახელმწიფოებრივი მუშაობაა, მაგრამ ამის შეგნება არ შეუძლია არც ანარქისტ ბალშევიკებს, არც მემამულეთა პარტიას—ეროვნულ დემოკრატიას.

ამხანაგური შენიშვნები

II

სიკვდილით დასჯის კანონი.

რომ სიკვდილით დასჯა რევოლიუციურ ხანაში ბრძოლის ერთი აუცილებელი საშუალებაა—ამაზე დავა ზედმეტია, მხოლოდ დოქტრინიორებს და რომანტიკოსებს შეუძლია ამ უცილობელ ფაქტის წინააღმდეგ გალაშქრება. ჩვენ ვიცით, კერენსკიმ იგი გააუქმა რუსეთში, მანვე შემოიღო. ჩვენ ვიცით, ყველაზე მეტათ ამ კანონს ბალშევიკები ებრძოდენ და ყველაზე მეტი ხალხის სიკვდილით დასჯა მათი ბატონობის ხანაში მოხდა და ხდება დღესაც. და ხდება საშინელ ველურ ფორმებში.

ჩვენშიაც დრომ მოიტანა და ასეთი კანონის გამოცემა მიუცილებელი გახდა. რეაქციის თავხედობამ შექმნა ეს აუცილებლობა.

ჩვენ სოც.-დემოკრატიას ამ კანონის მიღებით ოდნავადაც არ გადაუხვევია თავის წინანდელ პოზიციისთვის. იგი გასულ წელსაც უარყოფდა კერენსკის რომანტიზმს და თვითმართველობის ერთ ერთ სხდომაზე ბალშევიკების შეკითხვას ასეთი პასუხი გასცა: რევოლიუციის დროს სიკვდილით დასჯა საჭიროა, როგორც ერთი ზომათაგანი რეაქციის ასალაგმავათო. და თუ დღეს ამ აზრის ცხოვრებაში გატარება ბევრს აშფოთებს, ბევრი ამის გამო ნიანგის ცრემლებს დალვრის—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ აინტერესებთ არა რევოლიუცია, არამედ მისი დასამარება.

ჩვენ ასეთებს ყოველთვის ვებრძოდით, რადგან სანტიმენტალობა რევოლიუციონერს არ შეჰფერის და არც ქედის მოხრა რეაქციონური ტალღის წინაშე, თუნდაც ამას უკიდურესი რევოლიუციონური ფრაზეოლოგიის ბუკეტი უმშვენებდეს ჩაზავებულ შუბლსა და სახეს. მაგრამ არის მიღებული კანონში ორი მუხლი, რომელიც ჩვენ არ გვაკმაყოფილებს და ამის შესახებ არ შეგვიძლია ჩვენი აზრი არ გამოვსთქვათ, მით უმეტეს, რომ გარემოებამ ჩვენ გვარგუნა ამ კანონის მომხსენებლათ გამოსვლა ეროვნულ საბჭოში. პირველი, რაც ჩვენ გვაინტერესებს—ეს არის კანონის გავრცელება წარსულ დროზე.

ეს მიუღებელია იურიდიული, სოციალური მეცნიერების თვალსაზრისით. დემოკრატიული და სოციალისტური მწერლები განსაკუთრებით იბრძვიან და ამტკიცებენ ამას. არ შეიძლება ამის გამართლება არც პოლიტიკური და არც მორალური თვალსაზრისით. რევოლიუციის პირობებიც არ თხოულობენ ამას დღეს.

კანონისთვის უკანონობის ხასიათის მიცემა მარტო იმიტომ, რომ უკვე დატუსაღებული დამნაშავენი უსასტიკესათ დაისაჯოს, სერიოზულ გამასამართლებელ საბუთათ არ ჩაითვლება.

მით უმეტეს, რომ ასეთი მუხლის მიღებამ საეჭვოა, რაიმე შესძინოს ჩვენი ნორჩი სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას. ჩვენ მთელი განათლებული კაცობრიობის წინაშე გამოვდივართ დღეს, დემოკრატიული რესპუბლიკის დამაარსებლათ და ამ კაცობრიობის მიერ ელემენტარულ ჭეშმარიტებათ მიჩნეულ დებულებებს უნდა ანგარიში ვუწევდეთ, თუ ამ სახელმწიფოს ხანგრძლივი არსებობის ინტერესებს მივცემთ უპირატესობას.

სამწუხაროთ ეს არ მოხდა, რადგან ს. დ. ფრაქციის უმრავლესობამ ამ კითხვაზე აზრი გამოიცვალა და მე, როგორც მომხსენებელმა, უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი აზრი და შეხედულება ამ საგანზე დიამეტრალურათ წინააღმდეგია იმის, რაც დაკანონებულ იქნა.

მეორე ნაკლი ეხება კანონის დროებით ხასიათს. დროებითს უნდა ვადა, რომლის შემდეგ ეს დროებითი კანონი უქმდება. და ასეთ ვადათ ვერ ჩაითვლება ახალი დადგენილება გაუქმების შესახებ, რომელსაც პარლამენტი მიიღებს მომავალში.

ამ თვალსაზრისით ყოველი კანონი დროებითია. იმ დღესვე ჩვენ სამოსამართლო პალატის ორი-მესამედი გავაუქმეთ, თუმცა კანონში არ ეწერა წინეთ, პალატა დროებითიაო. რა განსხვავებაა დროებითისა და არა დროებითს კანონს შორის? მხოლოდ ერთი: პირველი უქმდება თავისთავათ განსაზღვრულ ვადაზე, მეორე კი, როცა მას კანონმდებელი გააუქმებს კანონმდებლობითი გზით. ჩვენ კანონს დროებითი დავარქვით პირველ მუხლში, ხოლო დროებითი კანონის ნიშნები ავაცალეთ და ამ რიგათ შეგვრჩა ხელში ფრაზა, მოკლებული რეალურ შინაარსს. რასაკვირველია მიუხედავათ ამ ნაკლისა, კანონი მაინც დიდ სამსახურს გაუწევს რევოლიუციას, მაგრამ ეს ნაკლი რომ საბაბს არ აძლევდეს მის მოწინააღმდეგეებს საბუთით ხელში გვებრძოლონ და მთელ კანონს სახელი გაუტეხონ, მკითხველიც დამეთანხმება ეს ბევრათ უმჯობესი იქნებოდა თვით იმ მიზნისათვის, რომელსაც ეს კანონი ემსახურება.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ წერილითაც მოწინააღმდეგენი ისარგებლებენ ჩვენზე თავდასასხმელათ. ეს შეიძლება ასე მოხდეს. მე დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევას ისინი ხელიდან არ გაუშვებენ;

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ წინ დიდი და ბევრი სამუშაო გვიძევს, და ჩვენ გვინდა მომავალში მაინც ავიშოროთ თავიდან ასეთი აჩქარებული ნაბიჯები; თუ წერილი ამ მიზანს მიაღწევს, მაშინ ზემო აღნიშნული ზარალი ერთი ათათ იქნება ანაზღაურებული.

რ.

გზა ახალ-ადგილებისკენ

კაპიტალის მოძრაობას, რომელსაც კაპიტალის გამტან ქვეყნის თვალსაზრისით ეწოდება კაპიტალის ექსპორტი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში. სხვადასხვა სახით ხდება ხოლმე ამა თუ იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოს კაპიტალის გადატანა ჩამორჩენილ ქვეყნებში. კაპიტალი დითარეშობს და დაეძებს შორეულ, გამოსადეგ ქვეყნებს. მოძრაობაში მოჰყავთ ყველა სამხედრო ძალები სახელმწიფოსი, ხმელეთის ჯარი და სამხედრო ფლოტი, რომ კაპიტალს საშუალება მიეცეს თავისუფლათ გაიყვანოს ჩამორჩენილ ქვეყნებში რკინის გზები, ააგოს იქ ფაბრიკა-ქარხნები, მოაგვაროს გზათა მიმოსვლა, დაარსოს სააქციონერო საზოგადოებანი, ბანკები, ააყვავოს სოფლის მეურნეობა, გაიყვანოს არხები, მოძებნოს მადნეულობა. ეს კაპიტალი ამ მოძრაობის ხანაში იზრდება, სუქდება და ერთი ნაწილი დამატებითი ღირებულებისა იგზავნება „სამშობლოში", სადაც ეს ნაწილი იწყებს თავისი საკუთარი მოძრაობას, აგროვებს ახალ ნაწილს, რომელიც ახალი ენერგიით აღჭურვილი თვითონ იწყებს თარეშს იმ ქვეყნებში, სადაც აქამდე არ უმოქმედნია. ხშირათ კაპიტალს აწვდიან თვით გაკოტრებულ ქვეყნებსაც კი, ოღონდ კი ის საკუთარ სახელმწიფოს საზღვრებში გაძლიერებულ კონკურენციას თავი დააღწიოს, რადგან მოგება, რომელსაც იძლევა ჩამორჩენილ ქვეყნებში გატანილი კაპიტალი მეტად დიდია. მოგებისადმი ლტოლვილებას არ აქვს საზღვარი, მაშასადამე არ აქვს საზღვარი კაპიტალისტურ ლტოლვილებასაც ახალ ქვეყნების შესაძენათ.

გერმანია შემოიჭრა ბუნებით მეტად მდიდარ, მაგრამ ჩამორჩენილ ამიერ-კავკასიაში. მისი კაპიტალი ეჭვს გარეშე უხვათ დაიბანდება აქ. მაგრამ გერმანიის კაპიტალის საბოლოო მიზანი ამიერ-კავკასიით როდი განისაზღვრება. ამიერ კავკასიაში შემოჭრით მას გზა ეხსნება არა ნაკლებ მდიდარ ქვეყნებისკენ, როგორიც არიან თურქესტანი, სპარსეთი, ინდოეთი, ე. ი. ისეთ ქვეყნებისკენ, რომლებთაც კაპიტალისტურ ქვეყნებს ჯერ ჯერობით საკმაოთ არ უსარგებლიათ. მაგრამ, სანამ გერმანია ამ ქვეყნებში შეიჭრებოდეს, მას წინ გადაეღობება ძლიერი კაპიტალისტური ინგლისი, რომელსაც დიდი პოლიტიკურ ეკონომიური ინტერესები აქვს დასახელებულ ქვეყნებში. ინგლისი შეეცდება ამიერ-კავკასიაში მუდამ წყალი ამღვრიოს, ეძიოს ადგილობრივ მცხოვრებლებში მომხრეები, რომ ამით გერმანიას ჯარის გადაზიდვა, სპარსეთ-თურქესტანისკენ გაუძნელოს და დააგვიანებინოს, იმ დრომდე მაინც, სანამ თავის საქმეებს ასე თუ ისე გამოასწორებდეს. ამრიგათ ორი დიდი სახელმწიფოს მოპირდაპირე ინტერესები იყრიან თავს და ინასკვებიან ჩვენს ქვეყანაში.

მომავალში ამას რუსეთის ინტერესებიც დაერთოვა, და ამ რიგად ამიერ-კავკასია მეორე ბალკანეთად გადაიქცევა. ადგილობრივ ერებს დიდი გამჭრიახობა მართებთ, რომ ამ დავაში ერთი მეორეს არ გადაუდგენ და ამ დიდ სახელმწიფოების სათამაშოთ არ იქცნენ. ერთსულოვნებას და ერთი ორიენტაციით სიარულს შეუძლიან მხოლოდ ამ ბედისგან დახსნა ამიერ-კავკასიის.

ი. სალაყაია.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

7 ივლისი.

ბერლინი. ოფიციალური. 6 ივლისს დაახლოვებით შუადღისას ორმა უცნობმა პირმა ითხოვა გერმანიის საიმპერატორო ელჩის გრაფ მირბახის ნახვა მოსკოვში. ელჩი დასთანხმდა. აუდიენცია უნდა მომხდარიყო საელჩოს წევრის ვიცლერის ერთი გერმანელი აფიცრის თანადასწრებით. როგორც-კი ეს ორი უცნობი პირნი შევიდენ გრაფ მირბახთან, მათ ამოიღეს რევოლვერები და ელჩს ესროლეს, რითაც გრ. მირბახი თავში დასჭრეს მსუბუქათ. უცნობნი ამით არ დაკმაყოფილდნენ, გაისროლეს ორი ხელით სასროლი ყუმბარა და შეუდგენ თავის შველას—ფანჯრიდან გადმოხტენ ქუჩაში. გრაფი მირბახი გრძნობაზე მოუსვლელად გარდაიცვალა. აუდიენციის დამსწრენი უვნებელი გადარჩნენ. როგორც-კი ეს ამბავი მთავრობის სფერებში გაიგეს, საელჩოში მივიდენ საგარეო საქმეთა კომისარები ჩიჩერინი და კარახანი, მიუსამძიმრეს ვიცლერს და გამოსთქვეს აღშფოთება საბჭოთა მთავრობის სახელით. სამწუხაროთ ჯერ კიდევ არ მოხერხდა ბოროტ-მოქმედთა ვინაობის გამორკვევა და მათი შეპყრობა. ჯერჯერობით მიღებული ცნობები საბუთს იძლევა, რომ გრაფი მირბახის მკვლელობა ჩაიდინეს შეთანხმების სახელმწიფოთა აგენტებმა. (გადმოცემულია ეს ცნობა მოსკოვის რადიო-სადგურის მიერ).

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. მტრის რამდენიმე იერიშები ლანჟერმაკის დასავლეთით მოვიგერიეთ. სომმის სამხრეთით მთელი დღის განმავლობაში საარტილერიო სროლა არ შესუსტებულა. საღამოთი სროლა სხვა ფრონტებზედაც გაძლიერდა. მდ. ენის და მარნის შორის და აგრეთვე რეიმსის სამხრეთით ბრძოლა განახლდა. მტრის ძლიერი იერიშები კლინიონზე მოგერიებულ იქნა.

პარიზი. მდ. ენის რაიონში საარტილერიო შეჯიბრებაა. დანარჩენ ფრონტებზე უმნიშვნელო ბრძოლაა.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. მთელს ფრონტზე უმნიშვნელო სამხედრო მოქმედებაა.

8 ივლისი.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. შატო ტიერის დასავლეთით ფრანგებმა და ამერიკელებმა სცადეს შემოტევა დაეწყოთ დიდი ძალებით, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ დამთავრდა. ხელჩართული ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. მტრის ზარალი, მიღებულ ცნობების თანახმად, დიდია. ვოგეზის მაღლობებში გილზერფისტთან მტრის შემოტევა მოვიგერიეთ.

პარიზი. ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. ზღვის პირის რაიონში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში. მთელს ფრონტზე ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

დღეს მტრის ხუთი ჰაეროპლანი თავს დაესხა სტამბოლს. მიღებული ზომების წყალობით ზარალი უმნიშვნელოა.

უკანასკნელი ცნობები

ბერლინი (6 ივლისი).

რეიხსტაგის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე სტატს სეკრეტარმა ფონ-კიულმანმა სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „საქართველოს რესპუბლიკამ, რომელთანაც ჩვენ შევედით მეგობრულ კავშირში და რომლის ფაქტიური არსებობა ჩვენ ვსცანით დიპლომატიური ნოტების გაცვლის საშუალებით, აქ გამოგზავნა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელთანაც ჩვენ აზრთა მეგობრული გაცვლა გამოცვლა გვაქვს".

(ვ. დ. ს

თფილისი.

6 ივლისს საღამოთ თავის ბინაზე რევოლვერით მოჰკლეს სომხური გაზეთის „მშაკი“-ს რედაქტორი ა. არაქელიანი. მკვლელები, რომლებიც სამნი იყვნენ, მიიმალენ. როგორც ფიქრობენ, მკვლელობა მომხდარი უნდა იყოს პარტიულ ნიადაგზე.

ადლერი.

ქართული საგანგებო ბათალიონის უფროსმა ადლერიდან პოდპ. აბაზაძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: სოფ. ხოსტასთან 5 ივლისს გმირულად დაიხოცნენ პორუჩიკი ფირცხალავა, პრაპ. მახულია და 7 ჯარისკაცი: ანტონ ტაბიძე, გრიგოლ კუხალეიშვილი, ლევან ჯალაღანია, ნესტორ მიმინოშვილი, კალისტრატე კორძახია, ბესარიონ გაგანიძე და ვარლამ გამყრელიძე. დაჭრილია: ვალერიან ფიფია, ალკარიონ კუხალეიშვილი, ამვროსი რამიშვილი, ივანე კაჭარავა, ვარლამ ღვალიძე, დომენტი დონაძე, ნოე ქობალავა და ივანე ქოიავა. დახოცილთ სამშობლოში წავასვენებთ. ჯარისკაცები საერთოდ მხნედ არიან და წინ მივიწევთ. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი, დიდძალი თოფები და წამოვიყვანეთ ტყვეები.

ანანური.

კვირა საღამოს დუშეთიდან ჩამოსულმა ამხანაგმა შემდეგი გვიამბო: ჩვენმა ჯარმა აიღო ანანური. მოწინააღმდეგეს წაართვეს 4 ტყვიისმფრქვეველი 2 ზარბაზანი, ტყვეთ წამოიყვანეს 100 ზე მეტი კაცი, მათ შორის სამოცი მეთაურთაგანია 8 დაჭრილია, დანარჩენს იარაღი აჰყარეს და გაუშვეს. ჩვენის მხრით ამ ბრძოლაში დაიჭრა ორი მსუბუქათ. ამ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა ი. გედევანიშვილის რაზმი, რომელმაც შემოუარა ანანურს და პირველათ შევიდა შიგ, მეორე მხრით იმავე დროს შევიდა ვ. ჯუღელი თავის რაზმით. დაჭერილია მთელი მიწერ-მოწერა, რომელიც ხდის ფარდას ამბოხებას. დანამდვილებით ირკვევა, რომ ეგრედ წოდებული ბალშევიკები იყვნენ ამ საქმის მოთავენი. კავშირი ქონიათ თფილისში ლტოლვილების საშვალებით. მთავარი მონაწილენი არიან გარდა ბალშევიკებისა ოსების, რუსების და სომხების ნაციონალისტები. დაჭრილია მრავალი მოთავენი, (ინტელიგენტები) რომელნიც იარაღით ხელში მეამბოხეთა სათავეში იდგენ. ადგილობრივი გლეხები ამბობენ, რომ ჩვენ მაგათ აგვიყოლიეს, მოგვატყუეს, რომ მთავრობა თავად-აზნაურებისაგან შესდგებაო და მიწების წართმევას გიპირებენო. ჩვენი ტყვეები, რომელიც მათ ხელშია ჩავარდნილი მფრინავი რაზმიდან, როგორც ამბობენ, დარიალისაკენ არიან წაყვანილი, შთაბეჭდილება გლეხებთან ბაასის დროს ისეთია, რომ მართლადაც გლეხები შეცდომაში შეუყვანიათ. სულიერათ მოუწამლავთ და განცვიფრებაში მოდიან, როცა ჩვენ მათ ადამიანურათ ვეპყრობით და ვუხსნით საქმის ნამდვილ მდგომარეობას. ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდება და დღიური შრომას უდგება. ჩვენის მხრით საერთოთ დუშეთის ოპერაციაში დღემდე დაჭრილია 12 მდე კაცი, მათ შორის ერთი მარტიროსოვი გარდაიცვალა, ტყვეთ წაყვანილია 4 კაცი. მათ შორის, სამი კავალერისტი და ერთი მუშა სახალხო გვარდიელი ამხ. მეტრეველი. მათი მხრით ზარალი გამოურკვეველია, დაჭრილები არიან ამხ. რიკაძის და ავლახაშვილის მკვლელებიც.

ცნობა დუშეთის მაზრიდან.

სახალხო გვარდია და რეგულიარული ჯარები მომქმედი ბალშევიკების „ბანდების“ წინააღმდეგ, ორ რაზმად გაიყო, მარჯვნივ არაგვის ხეობით მოქმედობდა ფურცელაძის და ი. გედევანიშვილის რაზმები და სწრაფად მიიწევდა ანანურისკენ მტრისთვის ზურგიდან მოსავლელად. ხოლო მთავარი ძალები ამხ. კონიევისა და ჯუღელის ხელმძღვანელობით მიიწევდა სამხედრო გზით დუშეთზე და იქიდან ანანურისაკენ. ამ უმთავრესი ძალების მარჯვენა ფრთას ხელმძღვანელობს გ. ლომთათიძე, ხოლო მარცხენას—თუთბერიძე. სამთო ბატარეის „ვზვოდი“ კაპ. ყანჩელისა და ცხენოსანი ჯარი—პორუჩ. ქუტელიასი. შუა კალონა მთავარი ძალებისა და თვით შტაბი სამხედრო გზით მიიწევდა წინ 1 და 2 ბატარეია სახალხო გვარდიისა და რაზმი შტაბს-კაპ. სულიკაშვილის მეთაურობით. შეტევა დაიწყო 6 ივლისს დილის 6 საათზე. მარჯვენა და მარცხენა ფრთა შეთანხმებულათ გაუთანასწორდენ მტერს, რომელიც იძულებული იყო უკან ანანურისკენ დაეხია, რომ არ ჩავვარდნოდათ ხელში. გაქცეულ მტერს დროზე მოუსწრო ი. გედევანიშვილის მოწინავე რაზმმა და ორი ზარბაზანი და ორი ტყვიისმფრქვეველი წაართვა ანანურსა და ფასანაურს შუა. ტყვედ ჩაგვივარდა 200 კაცი. ბანდის მთავარმა ხელმძღვანელებმა გაქცევით თავი უშველეს.

საერთოდ ქვეითა, ცხენოსანთა რაზმი და არტილერია შეთანხმებით, მხნედ მოქმედებდენ და უნდა სრული იმედი გვქონდეს, რომ მტერი უკვე დამარცხებულია. მათმა გუშინდელმა დამარცხებამ დღენა მეტად გაგვიადვილა და ჩვენც სავსებით ვისარგებლეთ მათი დამარცხებით. ფრონტზე შემოღებულია სიკვდილით დასჯა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოღალატეთათვის და ყველა იმათთვის, ვინც ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობას მიიღებენ.

ამ ბრძოლაში ჩვენ მსუბუქად დაგვეჭრა 5 კაცი, მოგვიკლეს პორ. ქუთელიას ორი ცხენოსანი და ორიც ტყვედ წაიყვანეს, როცა ისინი მტერს ზვერავდენ. მოკლული ცხენოსანნი უწამებიათ, ამის ცნობები გვაქვს. ერთიც ამხანაგ გვარდიელს არაგვში გასვლის დროს ცხენი წაექცა და დაიხრჩო, როცა მას მოხსენება მოქონდა კონიევთან მთავარ შტაბში. ერთიც შემთხვევით დაიხრჩო არაგვში ი. ი. გედევანიშვილის რაზმიდან. სხვა მსხვერპლი არ არის. ჩვენს სახალხო გვარდიაში და ჯარისკაცებში მკვიდრი და შეთანხმებული მუშაობაა. სრულიად შეგნებულათ მოქმედებენ და სწამთ, რომ თავიანთი ბრძოლით ემსახურებიან ხალხს და ამაგრებენ რევოლიუციისაგან მონაცემ დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საბოლოოდ აშორებს ხალხს ძველ ბატონობასთან და ამყარებს მშვიდობიან მუშაობას. მცხოვრებლები თანდათან უბრუნდებიან ოჯახს და მშიდობიან მუშაობასა და ცხოვრებას განაგრძობენ. ის მცხოვრებლები, რომლებიც წინათ უნდობლათ გვეპყრობოდენ, შეიგნეს თავისი შეცდომა და ყველამ ნდობით დაგვიწყო ცქერა. აქეთ მოსავალსაც კარგი პირი აქვს. მოკლულია ვართანაშვილი და ბექანაშვილი, ტყვედაა წაყვანილი ქოფილუაშვილი.

გაგრა.

გაგრიდან მთავარ შტაბს ატყობინებენ: 5 ივლისს ჩვენმა ჯარმა ხოსტთან, ადლერიდან 12 ვერსის მანძილზე, მოწინააღმდეგე უკუ აქცია. ჩვენ წამოვიღეთ 6 ზარბაზანი, 8 ტყვიისმფრქვეველი და 200 კაცამდე ტყვედ წამოვიყვანეთ. ჩვენი მხრივ მოკლულია ქართული ბათალიონის უფროსი ფირცხალავა, 2 აფიცერი მე-3 ქართული პოლკის. სულ დაჭრილნი და დახოცილნი ჩვენის მხრივ 10 კაცია. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს თფილისის რაზმმა, ყვირილის განსაკუთრებულმა რაზმმა და ადგილობრივი სახალხო გვარდიამ.

დუშეთი.

ჩვენი ჯარი ვ. ჯუღელის, პოლკოვნიკ კონიაშვილის და კაპიტან ფურცელაძის მეთაურობით რვა ივლისს, დილით ოთხ საათზე გავიდენ ანანურიდან, ყოველივე მხრივ „ცეპად“ გაემართენ ფასანაურისაკენ. ჩვენი რაზმი მამაცურად წინ მიდის. ზარალი სულ არ არის ჩვენის მხრიდან. ბალშევიკების მხრით რამდენიმე კაცი მოკლულია, ტყვეთ წამოიყვანეს სამასამდე. ქალაქში სიწყნარეა. ყველა დაწესებულებები შეუდგენ მუშაობას.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია სოც.-დემოკრატ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **გზათა მიმოსვლის სამინისტროს** განკარგულებით თანამდებობიდან გადააყენეს თანახმად თხოვნისა მატერიალური სამსახურის უფროსი ხატისოვი, ტელეგრაფის უფროსი—მაკუშინსკი, უფროსი ბუჰგალტერი შ რიუვი, „სბორის“ სამსახურის უფროსი კორბონსკი. დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო გზაზე: ჯუღელი „სბორის“ სამსახურის უფროსად და ათაბეგი—მატერიალური სამსახურის უფროსად.

◆ **განათლების მინისტრმა** შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან გადაიდოს 30 ათასი მანეთი ქუთაისში მასწავლებელთათვის ქართული ენის მოსამზადებელ კურსების გასახსნელად.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრის** მოხსენებით, სამინისტროსთან არსდება რაზმი სპეკულაციასთან, კონტრ-რევოლიუციასთან და სხვ. საბრძოლველად. ამასთანავე მთავრობამ სურვილი გამოსთქვა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცეს ქალაქის თვითმართველობას, რომ მილიციონერთა მდგომარეობა გააუმჯობესოს.

◆ **სამხედრო მინისტრმა** მთავრობაში შემდეგი კანონ პროექტები შეიტანა განსახილველად: 1) რესპუბლიკის სამხედრო მართველობის მოწყობა; 2) დებულება რეგულიარულ ჯარის შესახებ; 3) ჯარის შედგენის დებულება 4) მართლმსაჯულების და პოლკის სასამართლოთა წესები; 5) საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს შტატები მასთან არსებული ბრალმდებელის მოვალეობა: 6) სადისციპლინო წესდება 7) არსებული კანონების შეცვლა-დამატებანი, ვიდრე ახალი კანონები იქნება გამოცემული.

◆ **სომეხ ს. დ. კრება.** დღეს საღამოს 6 საათზე, არამიანცის სახლში (გოლოვინის პრ.) მეორე სართულში 12-ე ოთახში მოხდება საერთო კრება ს.-დ. მენშევიკების სომეხთა სექციისა. განსახილველია ფრიად სერიოზული საკითხები, ამიტომ ბიურო სთხოვს ყველა ამხ. მუშებს აუცილებლათ დაესწრონ.

◆ **პრესის ბიურო.** გუშინ პრესის ბიუროს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა პ. სურგულაძე. თავმჯდომარეს ამხანაგათ ა. ასათიანი, მდივნათ ა. სიგუა და ხაზინადრად მამულაიშვილი.

◆ **უსუფთაობა** ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში დიდი უსუფთაობაა; განსაკუთრებით უსუფთაობაა გამეფებული იარმუკაში. დიდი უსუფთაობაა მუხრანის მაზულშიაც. საჭიროა ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

◆ **ხოლერის წინააღმდეგ** მერვე უბნის სასურსათო კომიტეტმა დანიშნა საერთო კრება რაიონულ და სახლების კომიტეტების ოთხშაბათს, 10 ივლისს მეორე კომერციულ სასწავლებლის შენობაში, პანასკევიჩის ქუჩაზე. განსახილველია საკითხი ხოლერასთან ბრძოლის შესახებ.

◆ **მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში.** დღეს რუს არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ოსტროვსკის 4 მოქმედებიანი კომედია „დიკარკა“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ხვალ ქართველ მომღერალთა გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით შეასრულებს სახალხო კონცერტს სამ განყოფილებით.

◆ **ეროვნული კონცერტი სახელმწიფო თეატრში.** დღეს, 9 ივლისს, საღამოთი სახელმწიფო თეატრში საზოგადოების თხოვნით განმეორდება ეროვნული კონცერტი, ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდისა კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი კალანდაძე, ოპერის მომღერალი ი. პ. სარაჯიშვილი და ბ. ინაშვილი. მომღერალთა გუნდი გაძლიერებულია საოპერო თეატრის გუნდით. კონცერტზე მოწვეული არიან ჩვენი მთავრობა და ყველა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. კონცერტი დაიწყება საღ. 8 საათზე ახალი დროთი.

◆ **მუშათა კლუბში** დღეს გაიმართება სინემატოგრაფი. უჩვენებენ: სტეპნიაკ-კრავჩინსკის მოთხრობიდან „ანდრეი კოჟუხოვს მე-70 წლებში რევოლიუციონერთა ცხოვრებიდან.

◆ **გორის მაზრის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი** არსდება თფილისში, რის გამოც ოთხშაბათს, 10 ივლისს 10 საათზე, დილით, სასახლეში გლეხთა დეპუტატების ცენტრის ბინაზე, ოთახი № 10, დანიშნულია პირველი სხდომა ზემოხსენებულ კომიტეტის დასაარსებლად.

პროვინციის ქრონიკა

ს. ჩიბათი (გურია) აქ შიმშილის გამო მრავალი ოჯახი უკიდურეს მდგომარეობაშია. თუ ვინმე სხვა მხრით გაჭირებული თავის ლუკმას ვისმეს დაუთმობს, ფასზე ლაპარაკი არ არის. ნავთი არ იშოვება, წელს ყანები ერთობ ბევრია დათესილი და იშვიათ მოსავალსაც მოელიან ვინც ყანები გათოხნა ხელჩათხრობილნი დგანან, რადგან ტყეებში მუშაობა აკრძალულია. გადასახადები ერთობ ბევრია. კაპეიკის შემოსავალი კი არსაით. საზოგადოთ არავითარ ბოროტმოქმედებებს არ აქვს აქ ადგილი.

ფოთი. იტვირთება გერმანიის ორი დიდი ტრანსპორტი შავი ქვით. ერთ გემს მიაქვს 150 ათასამდე ფუთი, მეორეს 350 ათასამდე. ტყუილია ის ცნობა ზოგიერთ გაზეთებში რომ იყო მოთავსებული, რომ გერმანელებმა უკვე გაიტანეს ორი სამი გემი შავი ქვა. ხელშეკრულება ნავთსადგურის მუშებსა და გერმანელებს შორის ჯერ არ არის დამთავრებული. მოლაპარაკება სწარმოებს. ჯერჯერობით მხოლოდ შეთანხმდენ შემდეგზე, მუშები ღებულობენ ყოველ ათას ფუთის გადატვირთვა-გადმოტვირთვაზე 20 მანეთს.

— ფოთის სასურსათო კომიტეტი 1 ივლისიდან ქალაქის ხელში იქნება. ზოგიერთ მოსამსახურეებს წინადადება მიეცა დასტოვონ თავის თანამდებობა. მათ ადგილებზე ახალი პირებია მოწვეული.

ფოთი ნ. ბ. ლოლუას ქალის პროფესიონალური ქალთა სკოლა, რომელიც პროგიმნაზიის კურსებად გადაკეთდა,— წელს დაასრულეს: თამარა დიმიტრის ასულმა აბხაზავამ; ლილი სოლომონის ასულმა გოშუამ, აგნესა ანდრიას ასულმა ინჯიამ, ნადეჟდა ბახვას ასულმა ტყებუჩავამ, ალექსანდრა კირილეს ასულმა ლომაძემ, ელენე ივანეს ასულმა მეგრელიძემ, ეპრაქსია ქავთარაძემ, ვასასი ხორავამ, მეგი სიმონიამ, სოფიო კალანდაძემ, ოლღა დიმიტრის ასულმა ცომაიამ, ნატალია სიმონის ასულმა ჩარგეიშვილმა, მარიამ ნაჭყებიამ, ალექსანდრა კოსტას ასულმა კეიდიამ და ზაბილინი გიორგის ასულმა შენგელაიამ. ამათ შორის ერთს „აკაკის სახელობის“ სტიპენდია ჰქონდა, მეორეს სიღარიბის გამო სწავლის ფული ეპატია.

ფოთი. მომავალ სამოსწავლო წლიდან ნ. ბ. ლოლუას ქალის ფოთის პროფესიონალურ სკოლასთან გაიხსნება პროგიმნაზიის მეორე კლასი. მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდან (ახ. სტ.) პირველ კლასში არის 9 ვაკანსია, მეორეში 11. თხოვნის და საბუთების წარმოდგენა შეიძლება ფოსტით და პირადათაც ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე.

მუშათა წერილები

ჩვენი რესპუბლიკის მტრები.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა, შინ და გარედ მას აუარებელი მტერი გაუჩნდა. მე არას ვიტყვი იმ გარეშე მტრებზე, რომლებიც ჩვენ რესპუბლიკას ემუქრებიან ოსმალეთისა და რუსეთის სახით. მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ თავაშვებულ ვაჟბატონებს, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და განსაკუთრებით მის დედა ქალაქ თფილისში. ეს ვაჟბატონებია ყოფილი რუსის ჯარის აფიცრები, უადგილოთ დარჩენილი ჩინოვნიკები, სომხის შოვინისტები და ყველა ისინი, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობით დაჰკარგეს თავიანთი უპირატესობანი.

არ შემიძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციო კიდევ ერთ გარემოებას. საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ამხედრდა ერთი ნაწილი ჩვენი პარტიული ამხანაგებისა, რომლებმაც დაიარსეს საკუთარი ორგანო „სოციალ-დემოკრატი“. ხსენებული გაზეთი იმის მაგივრათ, რომ ეძიოს სხვა უკეთესი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან, საკითხს ეკონომიური თვალსაზრისით უჭერიან და გრძელ-გრძელ ფელეტონებში ბეჭდავენ იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ სასარგებლოა, და შესძლებს თუ ვერა საქართველო ეკონომიურ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში პატარა საქართველო მართლაც შესძლებდა ეკონომიურად დამოუკიდებელ არსებობას. მაგრამ არ შემიძლია არ მოვაგონო უკმაყოფილო ამხანაგებს: განა საქართველო ეკონომიურის მხრით უკეთეს პირობებში იქნებოდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი ყოფილიყო და განა მთელს რუსეთში გერმანიის და სხვა უცხო სახელმწიფოს კაპიტალი არ ბატონობდა და არ ბატონობს დღესაც? ეს ხომ ჭეშმარიტებაა, ყველასათვის ცხადია და ამაში მგონი ჩვენი უკმაყოფილო ამხანაგებიც დამეთანხმებიან. და თუ ეს ასეა, მაშინ ერთი და იგივე არ იქნებოდა ქართველი დემოკრატიისთვის გერმანიის კაპიტალი დამოუკიდებელ საქართველოში იბატონებდა, თუ რუსეთზე დამოკიდებულ საქართველოში? მე კი მგონია, რომ უფრო უარესი იქნებოდა რუსეთზე დამოკიდებული რომ ვყოფილიყავით და რუსეთის საშუალებით ებატონა აქ გერმანიის კაპიტალს. ყოველ შემთხვევაში, ერთის მხრით მაინც უადგილოა ამხანაგების გამოკვლევანი, რადგანაც როდესაც სოც.-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეთ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაშინ ასეთი დილემა იყო ჩვენს წინაშე წამოყენებული: ან დამოუკიდებლობის გამოცხადება და მით ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, ან და ოსმალეთის მიერ მთელი საქართველოს ოკუპაცია და ოსმალეთის დესპოტიზმის საქართველოში გამეფება. ორ უბედურებაში ყოველთვის ნაკლები უბედურების აღიარება სჯობია და ჩვენც ნაკლებ უბედურებათ საქართველოს დამოუკიდებლობა ვაღიარეთ.

გადავხედეთ თფილისის ესერების გაზეთ „ტრუდოვოე ზნამია“-ს დამოკიდებლობაზე საქართველოს რესპუბლიკისადმი. ამ გაზეთის ყველა ნომერი საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული. გაზეთს სახელმძღვანელო საგნათ გაუხდია საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთს შორის საზღვრების გამორკვევის საკითხი, და მიუხედავათ იმისა, რომ ოფიციალურათ იყო გამოცხადებული ჩვენი მთავრობის მიერ, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების შესწორებას საფუძვლათ უნდა დაედვას შეთანხმების პრინციპი, ხსენებული გაზეთი თითქმის ყველა ნომერში იმას ამტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობა იმპერიალისტურ გზას დაადგა სომხეთის წინააღმდეგ. გაზეთი სტატისტიკურათ ამტკიცებს თავის ფურცლებზე, (ნახ. მე 6 ნომერი) რომ ბორჩალოს მაზრაში უმრავლესობას სომხები წარმოადგენენ და ქართველებს არა აქვთ უფლება ხსენებული მაზრა საქართველოს რესპუბლიკას შემოუერთონო.

მე არას ვიტყვი სომხების იმ ორგანოებზე, რომლებმაც კორიანტელი ააყენეს თავიანთ ფურცლებზე გადამიჯვნის შესახებ, რადგანაც ჩვენ კარგათ ვიცით მათი მოღვაწეობა დემოკრატიისადმი. როგორც ესერები, ისე სომხური შოვინისტური პარტიები თავიანთი უმგვანო წერილებით შურსა და მტრობას სთესავენ სომეხ-ქართველთა დემოკრატიაში, საიდანაც მოსალოდნელია გაჩაღდეს ნაციონალური ბრძოლა ამ ორ მეზობელ ერთა დემოკრატიის შორის.

ასეთი წინააღმდეგობებით არის სავსე თფილისის. სხვა ბევრი გაზეთებიც, რომლების ამ წერილში თითეულათ ჩამოთვლა ყოვლად შეუძლებელია.

თუ ასეთ წინააღმდეგობებს ვხვდებით ადგილობრივ პრესის დიდ ნაწილში, უფრო მეტ წინააღმდეგობას შევხვდებით ჩუმი მოქმედებით იმ ელემენტების მიერ, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობამ ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა ქართველ დემოკრატიაზე ბატონობისათვის. ეს ვაჟბატონები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ საქართველოს რესპუბლიკას რაიმე ზიანი მიაყენონ. ამას წინათ დასწვეს საინტენდანტო საწყობები, რომლითაც რამოდენიმე მილიონის ზარალი მოუტანეს ჩვენს რესპუბლიკას. დაჟინებით ამბობენ, რომ ერთ ჯგუფს ამ ვაჟბატონებისას განზრახული ქონდა რკინის გზის დეპოს და სახაზინო თეატრის აფეთქება, მაგრამ დროზედ გაუგო მთავრობამ და მიიღო ზომები მათ წინააღმდეგ. ჩვენი გაზეთის 2 ივლისის ნომერში მკითხველი შემდეგ ცნობას წააწყდებოდა: „30 ივნისს მეათე კომისარიატის მილიციონერებმა დააპატიმრეს 2 აფიცერი, ბაჟინსკი და პეტროვი „დმერთო ფარვიდე მეფეს“ სიმღერისათვის. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ პროკლამაციები, რომლებშიდაც მოუწოდებდენ ხალხს საქართველოს რესპუბლიკის დანგრევისაკენ“. კიდევ ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ საილიუსტრაციოთ ესეც საკმარისია, რომ დარწმუნდეს მკითხველი, თუ რა ორგანიზაციული ხელი მუშაობს ჩვენი დამოუკიდებლობის გასანადგურებლათ. საქართველოს რესპუბლიკაში გარეშე ელემენტები აშკარა სახელმწიფოებრივ ღალატს აწყობენ, რომლებიც დღემდის ძალიან ნაკლებათ ისჯებიან ასეთი დანაშაულობისათვის. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს ახლო ხანში ისინი შესაფერ სასჯელს მიიღებენ ვისგანაც ჯერ არს.

იმ დროს, როდესაც ერის არსებობა საფრთხეშია ერთი მუჭა ხულიგანებისაგან, მთავრობა რადიკალურ ზომების მიღებას არ უნდა მოერიდოს, რომ იხსნას დემოკრატია განადგურებისაგან.

მეორეს მხრით საჭიროა მეტი სიჩქარით სწარმოებდეს იმ ელემენტების თავთავიანთ ქვეყნებში დაბრუნება, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკისთვის მეტი ბარგი არიან და ხელსაც კი უშლიან მის განმტკიცებას.

ს. ელიაძე.

მოვალეობის მსხვერპლნი

კიდევ მსხვერპლნი... სოხუმიდან სამწუხარო დეპეშა მოვიდა. იქ გახელიგნებულ ბრბოსთან შეტაკების დროს გმირულად დახოცილნი 9 საუკეთესო ახალგაზდები, საგანგებო ქართული ბათალიონის ოფიცერ ჯარისკაცები: პორუჩიკი ფირცხალავა, პრ. მახულია და ჯარისკაცნი: ანტონ ტაბიძე, გრ. კუხალაშვილი, ვარლამ გამცნელიძე, ლევან ჯალაღანია, ნესტორ მიმინოშვილი, კალისტრატე კორძახია, გაგანიძე ვალერიანი. განსვენებულებმა იცოდენ, თუ რა იყო სამხედრო დისციპლინა და რევოლიუციის საკეთილდღეოთ ცხელ ტყვიას გმირულად ამაყად უჩვენეს გული... პორ. ფირცხალავას და პრ. მახულიას დიდი შრომა მიუძღვით სეიმის დამცველ ბატალიონის შედგენაში. მთელი ბათალიონის ჯარისკაც ოფიცრების მწუხარებას მათი დაკარგვით გამოწვეულს საზღვარი არა აქვს.

ტკბილად განისვენეთ რევოლიუციის მსხვერპლნო მეგობრებ ნათესავებთა შორის, ნაზათ მიგიკრავთ მშობელი მიწა მის ღირსეულ შვილებს... თქვენი სახელი უკვდავი იქნება ამხანაგთა ხსოვნაში!

ან—სანი.

იაკობ ვასპაროვი

შხამითა და გესლით აღსავსე ადამიანებმა დუშეთის მაზრაშიაც შესძლეს ანარქიული გამოსვლა. ათასგვარი პროვოკატორული სიტყვებით, ხიშტითა და მუქარით დაიმორჩილეს დუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფლების მცხოვრებლები და ძმას ძმის წინააღმდეგ თოფი ააღებინეს და მით საერთო საქმე, რევოლიუციით მოპოვებული უფლებები ფეხქვეშ გასთელეს.

რევოლიუციას ათასი მტერი გაუჩნდა. მაგრამ რევოლიუციას კიდევ უფრო მეტი დამცველი და მოსარჩლე ჰყავდა და ჰყავს. წითელი გვარდია აწ სახალხო გვარდიათ წოდებული—ეს მტკიცე დარაჯი რევოლიუციისა—ოთხივ მხრით გააფთრებული იბრძვის შავ ბნელი ანარქიის წინააღმდეგ.

და აი ამ ბრძოლის დროს დუშეთის მაზრაში, მდ. არაგვში თავის მოვალეობის ასრულების დროს [illegible] ამხანაგი წითელი გვარდიელი იაკობ ვასპაროვი, რომ [illegible] მდგომმა ჩვენმა რაზმის უფროსმა გალმა ჩვენს შტაბში წერილი გაატანა.

სულ რამდენიმე წუთის წინ ჩვენთან მყოფი სიცოცხლითა და ბრძოლის ჟინით აღგზნებული იაკობი, მოშორებული თავის კერის, მდ. არაგვის მსწრაფლმა ტალღებმა იგი ხელიდან გამოგვაცალა. გული მოგვიკლა მასთან მყოფ ამხანაგებს ამ თავზარდამცემმა ამბავმა, მაგრამ კიდევ უფრო გაგვიასკეცდა ენერგია, კიდევ უფრო აბობოქრდა ზიზღი და შური იმათ წინააღმდეგ, რომელთა შავ-ბნელმა მოქმედებამ ამხანაგი იაკობი იმსხვერპლა.

მშვიდობით ამხანაგო იაკობ! შენ მტკიცეთ გწამდა, რომ გამარჯვება ჩვენ, მშრომელ ხალხს, გვხვდებოდა და დიდი ხანია ჩვენ ფიცი დავდეთ—სიკვდილის კარამდე თავისუფლების მტკიცე დარაჯათ ვყოფილიყავით. შენ პირნათლათ შეასრულე ეს ფიცი.

მშვიდობით ამხანაგო იაკობ.

მიხ. თამაზაშვილი.

გზიდან

(გაგრძელება)

საინტერესოა, რომ სოხუმის სხვილი პლანტატორები ტოფჩიანები და სხვები ყველანი გაბალშევიკებულა და მათთან ერთად დღესასწაულობდენ სოხუმის აღებას და ხალხის ძარცვას. მეგრელები გაყოლიან ბალშევიკებს იმ შიშის გამო, რომ ჩვენ, ე. ი. მენშევიკების მთავრობა ბატონ-ყმობას აღვადგენთ და მათ მიწებს თავადებს დავუბრუნებთ. ან სათათრეთს შემოვიყვანთ და სათათრეთი მათ ყოფილი მუხაჯირებს მიწებს, რომელზედაც მეგრელები არიან დაბინადრებული, წაართმევენ და ისევ მუხაჯირებს დაუბრუნებენ. ვინ იცის კიდევ რაიებს არ გვაბრალებდენ ჩვენ და ხალხი ყველა ამას იჯერებდა, რადგან სიმართლის მთქმელი არავინ ყავდა მას

25 ივნისს გენერლის ბრძანების თანახმათ ჯარის ერთი ნაწილი გუდაუთიდან გაგრისაკენ წავიდა, ხოლო მეორე ნაწილი სოხუმიდან გემით გაგზავნა. 25 ჩვენც გუდაუთში ჩავედით, სადაც მთავარი შტაბი ადრე იქმნა გადატანილი.

გუდაუთში დავრჩით. შევიტყვეთ ბალშევიკების საქმენი საგმირონი, მათგან დარბეული და გადამწვარი სახლები, აღებული ფულები. სოფლის ბალშევიკები, ე. ი. მთელი აფხაზი ხალხი მახლობელი სოფლებისა ურმებით ეზიდებოდენ თურმე საქონელს შევიტყვეთ ისიც, რომ ჩვენებსაც დაეწვათ რამოდენიმე სახლი და მათ შორის ბალშევიკების ლიდერის ლაკობასიც.

25 ივნისს შევკრიბეთ ჩვენი გუდაუთელი ამხანაგები ერთმანეთის გასაცნობათ და რაიმე ორგანიზაციის მსგავსის შესაქმნელად. ბევრი საყურადღებო ითქვა და გამოირკვა. ითქვა, რომ მენშევიკის სახელით ჯერ ხალხში არ შეიძლება გამოსვლა, რომ მათ ჯერ ხალხში ლაპარაკი ვერ გაუბედავთ, რომ ჩემი გასვლაა ჯერ საჭირო და მათი უკან გაყოლა. რადგან მე 26 თვის ხალხის კრება დანიშნული მქონდა სამეგრელო მთელ გუმისტაში, გუდაუთის რაიონის სოფლების ჩამოვლა ორი სამი დღით გადავდევი.

მალე მოვიდა ცნობა, რომ მდ. ბზიფი ჩვენებმა ბრძოლით აიღეს, მტრებს მოუკლეს და დაუჭრეს, ჩვენებში კი არავინ დაზარალებულა. ერთმანეთს მიულოცეთ და გავშორდით, რადგან მე იმ დღეს უნდა დავსწრებოდი დახოცილი ამხანაგების 11 წითელ გვარდიელების საძმო სასაფლაოდან ამოღებას და გემზე გადმოსვენებას, რაზედაც ზრუნავდენ იქაური ქართველები. მაგრამ ეს გამოსვენება არ მოხდა არც იმ დღეს და არც მეორე დღეს. ეს მოხდა მხოლოდ 28 ს. მე კი იქიდან 26 გამოვედი ეტლით ზღვის პირის გზით დანიშნულ მიტინგზე გუდაუთიდან 30 ვერსის მანძილზე სოხუმისკენ. გზა მშვენიერი, ჰაერი რბილი და გვერდით მოღელვარე ზღვა. ხედავ, სტკბები ამ მშვენიერი ბუნებით და მწარე ფიქრები გიპყრობს, როცა წარმოიდგენ, რომ მისი შვილები, მისი ხალხი უკულტურო, ჩამორჩენილი, მივიწყებული, ცრუმორწმუნე, ბალშევიკი თავისი შეუგნებლობით ხელს უწყობს ამ ქვეყანაში სათათრეთის გაბატონებას და მის ჩამორჩენის, მტარვალის ხელში სამუდამოთ დარჩენას. აქა-იქ მოკრავ თვალს ცხენოსან აფხაზს, რომელსაც ხურჯინი სავსე აქვს რაღაცა ნივთებით, ხურჯინიდან ამოჩრილი აქვს ხანჯლებს თავი, ხშირად ორი სამი თოფი აქვს გადაკიდებული და ორი-სამი ცხენი დამარქაფებული მიყავს.

იცი, რომ ეს მძარცველია საწყალი მეგრელი ან დაბეჩავებული აფხაზისა. მას მოუხდენია აფხაზის ასეულის სახლით ჩხრეკა, თუმცა ამ ასეულის ნაწილი შეიძლება არც კი იყოს და მიუთვისებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ნაჩხრეკი. ერთი ასეთი ვაგონი გზაზე გავაჩერეთ, იარაღი ავყარეთ, ნაძარცვი ჩამოვართვით და აბხაზთა საბჭოში გავგზავნეთ.

ბოლშევიზმი თუ ხალხს სძულს, ეს იმიტომ, რომ მას ანგრევს, არბევს და თუ ჩვენც ასევე მოვექცევით ხალხის თვალში ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის ზღვარი მოისპობა. სოფელ გუმისტაში მოგვიანებით მოვედი. ყრილობაზე სამი ელემენტი დამხვდა. უმრავლესობა მეგრელები, მერე ბერძნები და რუსები. მე ჯერ ქართულად ვილაპარაკე და ვრცლად შევეხე მდგომარეობას. ხალხი განცვიფრებული მიგდებდა ყურს, არ სჯეროდა თუ მისთვის კარგი გვსურდა. მტრები ეგონეთ კითხვების მიცემით გამოირკვა ყოველივე. ყველაზე უფრო დააინტერესა იმ ადგილმა ჩემი სიტყვისა, როცა მე ვამტკიცებდი, რომ ბოლშევიკებს აყოლა ეხმარება ეხმარება სათათრეთს, რომ ადვილად შემოვიდეს და დაგვეპატრონოს. თათრების ეშინიათ და მისი დახმარება არ სურთ, და თუ თავს იღუპავენ, ეს არ ეგონათ საწყლებს. დაიჯერეს ჩემი ახსნა და მონახეს შველა. მათთვის ეს ახსნა პირველი იყო, პირველად ესმოდათ სწორი ახსნა გარემოებისა, ჩვენებს ხალხში არ უმუშავნიათ. რუსული ლაპარაკის დროს შევამჩნიე რუსების თვალებზე ცრემლები. დღეს დავიძინებთ მოსვენებით, სთქვა ერთმა რუსმა. ჩვენ გვეუბნებოდნენ, მოვიდენ მენშევიკები და აქედან გაგვრეკავენო, დაგიჭერენო. ახლა კი ვიცით და გმადლობთ. 27 ივნისს ისევ გუდაუთში უნდა წავსულიყავ, როგორც დავპირდი ამხანაგებს, რომ ხალხში შევსულიყავით, მაგრამ სწორეთ ამ დღეს გადმოსხეს სოფ. წყურგილში თ. ალ. შერვაშიძის ეზოში ამავე თავადის თაოსნობით თათრების დესანტი და ამ გარემოებამ სულ შესცვალა ჩვენი პლანები. დარჩენა აქ იყო საჭირო და საქმის გამოყენება, რამდენათაც ჩვენგან ეს შესაძლებელი იყო. ისევ წანწალი ბნელი დღეები და ღამეები. ჩემთან ერთად ოფიციალური ტელეგრამა პროტესტისა გაუგზავნა ჩვენს მთავრობასთან აფხაზეთის ხალხის საბჭომაც. ჩვენმა მთავრობამ ნ. რამიშვილის პირით გვაცნობა, რომ ნოტები გარდაეცემა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლებიც მაშინ თფილისში იყვენ. ვითხოვეთ ნემეცთა რაზმის გამოგზავნა. დაგვპირდნენ.

ტყვიბულის ამბები

(ჯავშნიანი მატარებელი № 4)

4 ივლისს დილის სამ საათზე თანახმად გუბერნიის კომისრის დავალებისა, გავემგზავრეთ ტყვიბულისაკენ. გზაზე შემოგვიერთდა გუგუშვილის რაზმი.

მე-21 ვერსზე ოკრიბაში აღმოჩნდა რკინის გზის ლიანდაგი აყრილი, სადაც შევჩერდით. მისვლისთანავე ამავე ალაგას ჩრდილოეთით მაღლობზე იქნა შემჩნეული ეგრეთ წოდებულ ბოლშევიკთა „ბანდის“ მეთვალყურენი, ამ პატარა ჯგუფის საწინააღმდეგოთ გასროლილ იქნა ზარბაზნის ორი ყუმბარა, რომელმაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. გზის აღდგენის შემდეგ ტყვიბულისაკენ წავედით, სადაც უხიფათოთ მივედით. „ბანდის“ მხრით წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია. ტყვიბულიდან დავბრუნდით სადგურ სანირში. აქ ჯავშნიანის ხელმძღვანელი გოგუაძეს შეხვდა გენერალი სუმბათოვი. პირველმა მას გააცნო თავის მოქმედების გეგმა. გენერალმა ღრმესი მადლობა გამოუცხადა მთელ „კამანდას“ ერთგულ სამსახურისათვის და ხელმძღვანელს წინადადება მისცა დარჩენილიყო ამ რაიონში.

საღამოს შვიდ საათზე სადგ. ხრესილში მოვიდა ცნობა, რომ მე-24 ვერსზე, სოფ. ქუაპში ბრბოს ცეცხლი წაუკიდებია ხიდისათვის და იწვისო. ჯავშნიანი სისწრაფით წავიდა აღნიშნულ ადგილისაკენ.

დაუახლოვდით ხიდს თუ არა მაშინვე სროლა აგვიტეხეს ლიანდაგის ჩრდილოეთის მხრიდან, რაც ჯავშნიანის მიერ ჩაჩუმებული იქნა.

ხიდი სრულიად განადგურებული აღმოჩნდა.—ერთი საათის შემდეგ დავბრუნდით უკან სადგურში, სადაც ხელმძღვანელმა ზომები მიიღო მეორე დილას ადრე გავმგზავრებულიყავით ხიდის აღსადგენათ. 5 ივლისს დილა ადრიანად მივუშველეთ იმ ალაგას, რომ აღვედგინა გზა და გაფუჭებული ტელეგრაფის მავთულები შეგვეკეთებინა.

მივუახლოვდით დამწვარ ხიდს, აქ გადაყვანილ იქნა ჯავშნოსნიდან კამანდის ნაწილი მაღლობლების დასაზვერავათ, აქ წინააღმდეგობა არავის გაუწევია, რის გამო სისწრაფით იქნა ხიდი გაკეთებული, შემდეგ გელათისკენ განვაგრძეთ გზა, დავუახლოვდით ს. კურსების პლატფორმას. აქ უნდა შეგვეკეთებია დაწყვეტილი ტელეგრაფის მავთულები. გავჩერდით თუ არა, აგვიტეხეს სროლა ყოველის მხრიდან. ბუჩქებიდან ესროდენ ჩვენს კამანდის ნაწილს, რომელიც დამზვერავათ იყო წასული, ისინი ჩვენ შემოგვიერთდენ, გავხსენით ცეცხლი ტყვიის მფრქვეველიდან და მოწინააღმდეგე ჩავაჩუმეთ, შევუდექით ტელეგრაფის აღდგენას—ჯერ კიდევ არ დაგვესრულებია გაკეთება, რომ კვლავ ყოველის მხრიდან აგვიტეხეს სროლა, ჩვენც ვუპასუხეთ, ზარბაზნებს ვესროდით. უფრო სტრატეგიულ ალაგებს, ზარბაზნის ტყვიით ცეცხლს მივეცით „ბრბოების“ მეთაურების ბუდეთ ცნობილი დუქანი და კვლავ გელათისკენ წავიწიეთ, იმავ ალაგს სადაც წინ დღით რკინის გზა იყო გაფუჭებული, კვლავ აეყარათ რელსები.—ისევ აღვადგინეთ გზა და გავემართეთ წინ, გზაზე კვლავ აგვიტეხა ბრბომ სროლა მაღლობებიდან, ჩვენ ვუპასუხეთ არტილერიით;—სოფლის დელეგატები ხშირათ მოდიოდნენ თეთრ დროშებით და შეგვჩიოდენ თავიანთ გასაჭირს, რომ ისინი არაფერ შუაში არიან და ბრბო კი სხვა სოფლიდან არის მოსულიო. ხელმძღვანელი მათ უხსნიდა ყველაფერს, თუ არ მისცემდენ ხულიგან მეთაურებს, ცეცხლითა და მახვილით გაანადგურებდენ იქაურობას. უკანასკნელ ალაგს ჩვენმა ჯავშნიანმა გაისროლა 12 ყუმბარა და სამი ათასამდე ვინტოვკის ტყვია. ამავ დროს მოდის ქუთაისიდან ვალ. გოგუაძე მე-2 ჯავშნიან მატარებლით, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჩვენთან ერთად მოწინააღმდეგის გაფანტვაში, ჩვენი მხრივ მსხვერპლი არ ყოფილა; დანამდვილებით კი არც იმის თქმა შეიძლება, თუ რამდენი ზარალი მოუვიდათ მოწინააღმდეგეთ, ტყვეთ წამოვიყვანეთ სამი შემჩნეული პირები. მოვიდა ქართული მე 2 პოლკის ჯარი, რომლის განზრახვაა სასტიკად მოექცეს მოწინააღმდეგეს, მალე უნდა ველოდეთ ლიკვიდაციას ჩვენდა სასარგებლოთ.

ვალ. გოგუაძე იმავ დღეს გამოემგზავრა ქუთაისისკენ, სოფ. კურსების სასამართლოს წინ, მან საგანგებოთ თავმოყრილ ადგილობრივ მკვიდრთ შესაფერი სიტყვით მიმართა და ბოლოს დაასკვნა: ორში ერთი უნდა აირჩიოთ—ან ჩვენი უნდა იქნეთ და გამოგვიწოდოთ ხელი, ანდა ოფიციალურად უნდა მიემხროთ იმათ, ვისაც თქვენი ოჯახის დაქცევა უნდა; აქ მოვლენ მთავრობის რწმუნებული სამხედრო პირები, რომლებიც მოგთხოვენ მეთაურების მიცემას. მიუთითეთ მათზე, ნუ დამალავთ ავაზაკებს, რომლებსაც შესაფერ პასუხს გასცემენ. ჩვენ თქვენთან ვართ და თქვენც ჩვენთან იყავით, მოგვეცით ხელი და ერთად გავსწიოთ საუკეთესო ქვეყნის შესაქმნელათო!

ორატორი სიტყვა ტაშით დააჯილდოვეს. ხალხი შეპირდა დახმარებას.

დ. ბაისოშვილი.

საჩხერის ამბები

30 ივნისი. ოფიცერ გაჩეჩილაძისაგან უბრძოლველათ და მოულოდნელათ უკანდახევას, ძლიერ გაეთამამებია „ბანდები“ და იმათ საჩხერის დაკავების შემდეგ, ჭიათურისკენაც-კი ექნათ პირი და საჩხერეს სამი ოთხი ვერსით დაშორებოდენ ე. ი. 8 ვერსით დაახლოვებიან ჭიათურას.

თავისუფლებისა და რევოლიუციის დამცველ ჩვენს რაზმებს, სწორეთ აქედან მოუხდათ მკაცრი შეტევა, მოპირდაპირეთა ძლიერ რაზმს, რომელნიც მხოლოდ თოფებით იყვენ შეიარაღებული, არ შეეძლო გაეძლო ტყვიის მფრქვევლებისა და ზარბაზნებისათვის და ძლიერი იერიშებისა და მუქარის შემდეგ, უწეს-რიგოთ დაიხიეს უკან ბრძოლით და საღამომდის საჩხერის სადგური დატოვეს. ეს იყო ისევ 29 ივნისს ღამე თუმცა უბრძოლველათ ჩატარდა, მაგრამ როცა ჩვენებმა დილით საჩხერის სრულიად დაკავება მოინდომეს, აქ დილით-კი მოხდა უმნიშვნელო სროლა, მაგრამ ბანდები საჩქაროთ გაშორდენ ქალაქს და გარეშე დაიწყეს მოქმედება. ჩვენ გადმოგვეცეს მცოდნე პირებმა საჩხერეში, თუ რა ძალას წარმოადგენდენ ეს ძალები; დაახლოვებით 8000 მაინც იქნებოდა, ხოლო 2 ათასამდე იქნებოდა საუკეთესო იარაღით შეიარაღებული ჯარისკაცები, ხოლო სხვებს კი ემჩნეოდა, რომ ისინი იყვენ ძალით გამორეკილნი, ან საშოვარზე მოსულნი, ამას ამოწმებს მათგან წამოყვანილ ტყვეთა ლაპარაკიც, მაგრამ ეს ბრბო მალე დაიწმინდა, რადგან ცოტა ხნის განმავლობაში ვერ მოახერხეს მოქალაქეთა და მემამულეთა სრული დარბევა და ბრძოლის ველზე დარჩა წმინდა მებრძოლი ძალები, რომლებიც საჩხერიდან გაფანტულნი ამოეფარენ ახლო მახლო გორებს და სოფლებს და აქედან განაგრძობენ ეხლა ბრძოლას, წინდაწინვე ჩანს მათი ბრძოლის უნაყოფობა, მაგრამ, არც ადვილია უკან დაბრუნება. ხელმძღვანელებმა მოატყუეს ხალხი, ბევრ რამეს შეპირდენ მათ და დღეს უკან ასე შერცხვენილი დაბრუნება არც ისე ადვილია. ამიტომაა მოსალოდნელი, რომ იარაღს არც ისე ადვილათ დაყრიან, რაიც მათ აუცილებლათ მოეთხოვება და შტაბიც მტკიცეთ მოითხოვდა, როგორც მცხოვრებლების ისე ჯარისკაცთა „ბანდების“ განიარაღებას. საამისო წინადადება უკვე მიეცათ და ვადათ დანიშნულია 1 ივლისი შუა დღე.

ჩვენი ხაზი საჩხერის ბანდებთან ბრძოლაში დღეს ასეთია: გვიკავია საჩხერე და მისი დასავლეთის მხარე, დანარჩენი ადგილები აღმოსავლეთ სამხრეთით უკავიათ ბანდებს—რასაკვირველია გაუმაგრებლათ.

დავათვალიერეთ საჩხერე, რომელიც მხოლოდ 20-ოდე საათის განმავლობაში იყო მტრის ხელში და სწორეთ გითხრათ, მეტათ გულის შემზარავი სურათი დაგვიდგა თვალ-წინ. განადგურებულია კომისარიატის ბინა სრულიად და რაც კი რამე ყოფილა შიგ დატაცებული ან განადგურებულია. წაუღიათ ქვეშაგებიც ბალიშებისათვის პირები გაუძვრიათ ბუმბული იქვე დაუქიაქებიათ.

გაძარცულია პეტ. წერეთლის სახლი სრულიათ. აგრეთვე ფრიდონ, მიშა, ირაკლი, მარიამ, კოტე და გიორგი წერეთლის ოჯახები სრულიათ. სიმონ იაკობიძის, ანტონ შუშიტაძის და გრიგოლ მოძღვრიშვილის, რომლებსაც ეკუთვნის თვით კომისარიატის ბინაც. არიან აქა-იქ კიდეც დაძარცულნი როგორც ოჯახები, ისე სავაჭროები, მაგრამ ყველა ამაების გამორკვევა ასე მალე შეუძლებელია. ყოველივე დატაცებული საქონლის გატანა ადვილათ მოახერხეს გაჩეჩილაძის წყალობა დატოვებული ცხენებით მძარცველებმა და გაიტანეს როგორც აქაურ სოფლებში, ისე ოკრიბაშიაც.

საზოგადო დაწესებულებიდან, მხოლოდ ფოსტა აღმოჩნდა ხელუხლებლათ, ალბათ, ფიქრობდენ ეს დაწესებულება მათთვისაც საჭირო იქნებოდა, რომელიც დაეკავებიათ კიდეც და თავისი კაცები ჩაეყენებიათ, რომლებიც ტყვეთ ჩაგვივარდა. მსხვერპლი რაც პირველ შეტაკებაზე არ იყო, მეტი არ არი ჩვენს მხრით, ხოლო იმათ რა მსხვერპლი მოუვიდათ ჩვენ არ ვიცით, თუმცა ტყვები, რომლებიც ბლომათაა წამოყვანილი კი ამბობდენ ამაზე. რა ბედი ეწია ჩვენ წარმომადგენელს ბურჯანაძეს ჯერ არ ვიცით. 28 მოკლულია. ჩვენ სამი გვარდიელიდან დღეს ჩამოვასვენეთ საჩხერიდან. მაღლაკელიძე და კირკიტაძე.

1 ივლისი. ბოლშევიკურ ბანდებს საჩხერის რაიონში და მის ახლო-მახლო დაუსახავთ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლის წარმოება, ეს ალაგი ხელსაყრელიც არის მათთვის, რადგანაც პროვოკაციას აქ საუკეთესო გასავალი აქვს ხალხის გამოურკვევლობა-მოუმზადებლობის წყალობით. მთა გორიანი მდებარეობაც და ყვირილა-ქუთაისის სიახლოვეც ხიბლავს მათ ბრძოლის ადრე დასრულებლათ, მაგრამ მტყუანს მუდამ არ უღიმის ბედი. მათი სამოქმედო ასპარეზი ვიწროა და მდგომარეობაც ერთნაირია და ერთ და იმავე იარაღით ცხოვრებთა შიშ ქვეშ მოქცევაც ემჩნევა ყველგან, სადაც კი იწყეს გამოსვლა.

საკვირველია ხალხის დაუკვირებლობა. ეს ხალხი მუდამ გაიძახოდა ვენაცვალეთ გურიას, იმერეთს და სხვა ხალხის საჭიროება, ერთობის და ძმობის მნიშვნელობა იმათ შეიგნეს; ბრძვიან და ჩვენც გვასწავლიან ბრძოლას“ და საჭიროების დროს კიდეც უდგეს ამ თავისუფლების სხივების მფენელთ გვერდით. ახლა, რომ ეს თავისუფლება დასათრგუნავი ყოფილიყო, განა იგივე გურულები, იმერლები და შეგნებული დემოკრატია არ დაასწრებდა, ზემო იმერეთს ან სხვებს გამოსვლას და მაგალითს არ მისცემდა ხალხს? მაგრამ ამ უკანასკნელებმა იციან დღეგრძელი შინაური ომის მწარმოებელნი, რეაქციის შემქმნელნი არიან და მიწისა და თავისუფლების კი მტერნი და გარეშე მტრის აშკარა მოტრფიალენი. ეს სჩანს ჩვენს პატარა რესპუბლიკის ირგვლივ.

მოდიან სოფლებიდან წარმომადგენელნი, რომლებიც თავს იკატუნებენ: „არ ვიცით ვისთან გვაქვს საქმე და მიტომ გვეძრახებაო“ და როცა იმათ უხსნიან მდგომარეობას, მოითხოვენ მათგან წესიერების აღდგენას და იარაღის მოტანას, მძიმეთ თავს აქნევენ: რაღაცნაირი იარაღი ახალგაზრდობამ წაიღო, რაც გვაქვს მოგართმევთ და ჩვენ ნუ გაგვიმეტებთო. საჩხერის რაიონის რამდენიმე ახლო სოფელმა დღეს და გუშინ კიდეც ჩააბარა იარაღი შტაბს, მაგრამ აშკარათ ჩანს მხოლოდ ნაწილი. დანარჩენნი კი ორ წყალ შუა არიან ბანდებისაგან შეშინებულნი და თხულობენ მთავრობისაგან ენერგიული ზომების მიღებას: „გვიხსენით და თქვენ ვართო“,—ამბობენ. 30 და 1, საგულისხმო ბრძოლა არ მომხდარა. იყო აქა-იქ ცოტა შეტაკებები, რომლის დროსაც ჩვენ მოგვიკლეს მხოლოდ ერთი [illegible] მხრის მცხოვრები ძიგრაშვილი. ხოლო მოპირდაპირის ზარალი ძნელი ამოსარკვევია სიშორისა და პურ სიმინდის სიმაღლის გამო. არ ითქმის რომ სერიოზული ბრძოლა აღარ მოხდება საჩხერის რაიონში, პირიქით, მოსალოდნელია იგი, რადგანაც საჩხერიდან გაფანტული ბრბოები მის ახლო-მახლოს ჩასაფრდენ და საპოზიციო ბრძოლისათვის „ბრბოებს“ მომზადებას შეუდგენ, მაგრამ ჩვენებსაც არ ძინავთ და თუმცა კი უფრთხიან სისხლის ღვრას, მაგრამ გარემოება ქმნის მდგომარეობას.

ყვირილის რაზმის ხელმძღვანელ ოფ. გაჩეჩილაძის მოღალატურ მოქმედებაზე ყველა ლაპარაკობს და ბოდიშს ვიხდი, რომ მაზე ხშირათ მიხდება ლაპარაკი, მაგრამ მართლის მთქმელთაც უნდა გაუწიონ ანგარიში, მან კიდევ გაიმეორა თავისი წინანდელი საქციელი, იმან მიატოვა თავისი გმირი რაზმი და მტრის [illegible] ან დადევნების მაგიერ გუშინ ყვირილისკენ წავიდა სრულიად დაუკითხავათ, მისი რაზმი, რომელიც მედგრათ იბრძოდა და იბრძვის უკმაყოფილო უფროსზე მოითხოვს მისს სამხედრო სასამართლოზე გადაცემას და ასე თხოულობენ სხვებიც.

ალი—ხანი.

რას ითხოვს გლეხობა

საქართველოს დემოკრატიული წყობილების გამტკიცება ბევრათ დამოკიდებულია აგრარული კითხვის სისწორით გადაჭრაზე.

აგრარული საკითხი ძალიან რთული და ძნელი საკითხია; სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პირობებში ის სხვადასხვანაირათ უნდა გადიჭრას და მოწესრიგდეს, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

გლეხი ბუნებით კონსერვატორია; სოციალ-დემოკრატიას და რევოლიუციას იმდენათ უჭერს ის მხარს, რამდენადაც ესენი მას ემსახურებიან, მიწას მოუპოვებენ; არსებითად გლეხში ზის მხოლოთ კერძო მესაკუთრე, ის კერძო საკუთრების და თავისი ნაჭერი მიწის მაღმერთებელია და როგორც ასეთი, ის არას დროს არ ყოფილა სოციალისტი. მას შეუძლიან იყოს მხოლოთ დემოკრატი და ისეთი ფანატიკური მოსიყვარულე თავისი საკუთრებისა, რომ ერთი მტკაველი მიწისათვის თავის მიჯნის სამანზე დააკლავს თავის მეზობელს.

გლეხი მიწაზეა მიკრულ-მიკოწიწებული; ის მუდამ და მხოლოდ მიწას ჩასცქერის და იქ ეძებს თავის ბედს და უბედობას. მართალია, ის დროგამოშვებით მაღლაც იხედება, მაგრამ არა იმისათვის, რომ თავისი გონების თვალით სოციალ ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება განსჭვრიტოს და მას ზევიდან თვალი მიმოავლოს, არამედ იმისათვის, რომ გამოიცნოს, ხვალ მისი მიწის ჯეჯილი დაინამება თუ არა.

ამიტომაც არის, რომ ყველა რევოლიუციები გლეხობას ან სულ დაუღუპავს, ან სანახევროთ შეუფერხებია და მისი ლოღიკური განვითარება შუაგზაზე შეუჩერებია. გლეხობას ყველგან კონტრრევოლიუციონური როლი უთამაშნია.

ასეა დაახლოვებით ჩვენშიც.

ფეოდალურ ნაშთების ნანგრევებზე გლეხი ესწრაფვის თავისი კერძო საკუთრების გამაგრება-განმტკიცებას და ამნაირათ სოფლათაც ბურჟუაზიულ წეს-წყობილების დამყარებას. მემამულეთათვის მიწების ჩამორთმევა გლეხს იმდენათ ახარებს, რამდენათაც ის მას დაეპატრონება და თავის კერძო საკუთრებათ აქცევს. ამიტომაც არის, რომ გლეხები ჩამორთმეულ მიწებს მაშინვე ინაწილებენ, ჩემულობენ და თავისებურ ნიშნებით და ყორღნებით იფარგლავენ.

აქედან აშკარაა, რომ გლეხობა მიწას მხოლოდ ბურჟუაზიულ დემოკრატიული თვალით უცქერის და არა სოციალისტურით. მიწების ჩამომრთმევ კომისიების მუშაობიდან ვიცით, რომ გლეხობა უკმაყოფილოა მემამულეთათვის საგრძნობ ნორმის დატოვებით იქ, სადაც მიწის დიდი სივიწროვეა, როგორც მაგალითად დუშეთის მაზრაში, სადაც სახნავ-სათესი ადგილი ცოტაა; აქ ეს ნორმა დიდია, რადგანაც არსებითად მემამულეს იმავ ბატონათ სტოვებს.

უკმაყოფილოა გლეხი იმითაც, რომ მთავრობა მას მოლოდინს არ ამართლებს და კერძო საკუთრებათ არ უნაწილებს და არ უმტკიცებს. ამიტომაც არის, რომ გლეხი პირველ ყოვლისა იმას გეკითხებათ, მემამულეს რომ აძლევენ უტოვებთ, მე რამდენი მიწა მერგებაო.

გარდა ამისა გლეხობის უმრავლესობას, როგორც უკულტუროს და გაუნათლებელს, ვერ შეუგნია მიწის კომიტეტების დანიშნულება; მას იჯარის გაგონება კვლავ ამავ მემამულეს აგონებს და უნდობლათ გამოიყურება.

ამიტომაც არის, რომ დუშეთის მაზრაში გლეხები უარყოფენ მიწების კომისიებს და უცხადებენ, რომ ისინი სრულიად ისაკუთრებენ მიწებს, მემამულეს არაფერს უტოვებენ და ერთმანეთში ინაწილებენ. მათში ბოლშევიკური აზრები ფესვებს იკიდებს.

ამის გამო გლეხობა ასე დაჟინებით თავადების პარტიათ ნათლავს იმ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც ისინი თავადებთან ბრძოლაში ათეული წლები სწრთვნა, უწინამძღვრა და პოლიტიკურათ აღზარდა.

ამისათვის საჭიროა ამ ჟამად საადგილ მამულო რეფორმის გადაშინჯვა, მისი შევსება-შესწორება და გლეხების, როგორც მესაკუთრეების დღესვე რამოდენიმეთ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება. რეპრესიულ ზომებთან ერთად აუცილებელია ეს ზომაც, რომელიც გლეხობაში დიდ ნდობას და აღფრთოვანებას გამოიწვევს.

მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ანარქიის საბოლოოდ ჩაქრობა და დამოუკიდებელ საქართველოს განტმკიცება-გამაგრება.

ი. ი—შვილი.

სენაკის მაზრაში

საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი გიზო ანჯაფარიძესთან ერთად სამმა ამხანაგმა მოვიარეთ რვა უმთავრესი ადგილები სენაკის მაზრისა.

მიზანი ჩვენი მოგზაურობისა იყო, გავეცნო ხალხისათვის მიმდინარე მომენტი და საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. კრებებს ვიწვევდით მცირე რიცხოვანს, და არჩევით (მოწინავეთ) მარა უკიდურესი მოწინააღმდეგეთა ბანაკიდანაც გვყავდა დაბარებული, რომ მართალი სიტყვას პირისპირ წარსდგომოდნენ; თანამგრძნობებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც იძლეოდნენ ბევრნაირ შეკითხვებს და ნათელი ახსნა განმარტებით ერკვეოდნენ.

მოვახდინეთ კრებები შემდეგ საზოგადოებებში:

7 ივნისს ნოქალაქევში, დაესწრო 120-მდე კაცი.

8 ივნისს ბანძაში, დაესწრო 250-მდე კაცი.

9 ივნისს ნაოღალევში დაესწრო სულ 50-მდე კაცი (ხელი შეუშალა კოკისპირულმა წვიმამ თითქმის მთელი დღე).

10 ივნისს ნახუნოვის საზოგადოებაში, დაესწრო 200-მდე კაცი.

12 ივნისს კიწიაში, დაესწრო 300-მდე კაცი, (აქ იყო მოწვეული თამოკონის საზოგადოების წარმომადგენლებიც 50-მდე კაცი).

13 ივნისს სალხინოში, დაესწრო 250-მდე კაცი.

14 ივნისს ფოცხოში, დაესწრო 500-მდე კაცი.

15 ივნისს უშაფათში, დაესწრო 150-მდე კაცი.

სოფლელთა მიერ ჩვენ მოვისმინეთ სხვათა შორის ასეთი შეკითხვები:

1) რა უშლის ხელს ერობის და მიწის საკითხის გადაჭრას?

2) ბათუმის დაცემაში ღალატს ხომ არ ქონდა ადგილი და თუ ქონდა ვის აბრალებენ?

3) ეროვნულ საბჭოს და საქართველოს მთავრობის შემადგენლობა პარტიების მხრით რა ნაირია?

4) ბოლშევიკები რატომ არ შევიდა ეროვნულ საბჭოში და საქართველოს მთავრობაში?

5) რამ გამოიწვია სიძვირე და რა ზომების მიღებას აპირობს მთავრობა ამის წინაღმდეგ?

6) როგორი წესით იქნა არჩეული ეროვნული საბჭო?

7) რა საშუალება ექნება მთავრობას ფინანსების განსამტკიცებლათ?

8) არის თუ არა ნიშნები რუსეთის დემოკრატიის გამოფხიზლების?

9) სცნობენ თუ არა ჩვენი მოკავშირეები საქართველოს დამოუკიდებლობას?

10) გაეგზავნა თუ არა დელეგაცია რუსეთის მთავრობის დახმარების შესახებ და რა პასუხი მიიღეთ?

11) რამდენათ საიმედოა ბონების ღირებულება, რომლის შესახებ ბევრი ჭორები და მითქმა მოთქმაა?

12) სცვლის თუ არა და რამდენათ პოლიტიკურ სიტუაციას ანგლოფილების მოძრაობა ოსმალეთში?

13) რათ არ დაუცადა ბერლინში წასულ დელეგაციას ბათუმის უკანასკნელ დელეგაციამ და ისე შეკრა არა-ხელსაყრელი ზავი?

14) გერმანია თუ შეპირდა საქართველოს ტერიტორიის დაცვას, რაში გამოიხატება ეს?

15) გერმანია ინგლისის წინააღმდეგ რეალური ძალის საშუალებით ხომ არ ჩაგვითრევს აღმოსავლეთის ომში?

16) რა რომ ზავი დამყარდა, რატომ დედის ერთა შვილები არ გაათავისუფლეს ეს ხომ მშვიდობიან დროს ძველი მთავრობის მიერაც იყო პატივებული.

17) რამ გამოიწვია წითელი გვარდიის დაარსება, ვისგან შესდგება იგი?

18) რით განსხვავდებიან მენშევიკები და ბოლშევიკები ერთმანეთისაგან და რა მიზანი აქვთ მათ?

19. გერმანია რომ დამარცხდეს, მაშინ რუსეთთან შეერთება მოსახერხებელია თუ არა?

20) რატომ არის სოფელი უპატრონოთ, ვინაა ჩვენი მთავრობა?

21) მიწის საკითხი გარკვევით აგვიხსენით და მოგვეცით ძალა.

22) ის რაზმები, რომლებიც სოფლებში მთავრობის სახელით შემოდის მართლა მთავრობისაა თუ მენშევიკებისა?

23) პარტიები ეროვნულ საბჭოში როგორ განწყობილებაში არიან?

24) გვყავს თუ არა მოწყობილი სათანადო ჯარი და ფლოტი?

25) რათ არ ანთავისუფლებენ გერმანია-ავსტრიიდან ჩვენს ჯარისკაცებს ტყვეობიდან?

აი მოკლეთ შეკითხვების შინაარსი. პასუხი ამ შეკითხვებზე გარკვევით მიიღო საზოგადოებამ და უნდა ითქვას, რომ უფრო ინტერესით ამას ისმენდენ, ვინემ მოხსენებებს. მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ [illegible] გვაფრთხილებდნენ - შესაძლებელია რამე ხიფათს წააწყდეთო, [illegible] ეს აზრი არ გამართლდა, პირიქით, მთელი ხუთი საათობით გვისმენდა ხალხი და არავითარ ექსცესებს იქ ადგილი არ ჰქონია.

ნახული და გაგონილით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენ პარტიისა და სოფლის მცხოვრებთ შორის ნათელი კავშირი არაა და მასთან სოფლის ადმინისტრაციას განსაკუთრებით კი კომისრებს მცირე გამონაკლისების გარდა, არ ესმით რა გააკეთონ და არც აქვთ არავითარი ისეთი ინსტრუქცია, რომლითაც მათ შეეძლოთ იხელმძღვანელონ, ამიტომ ისინი რყევაში არიან და ამას კარგათ ატყობს მტერი და მოყვარეც. აქედან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ არავის არ ენდობა ხალხი, მარა როცა მისი ძველი ნაცნობი პარტიის სოც.-დემოკრატიის სახელით პროპაგანდისტი შემოდის სოფელში, მაინც ეწვევა ასეთ კრებას და უსმენს, მარა ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით უყურებს, ვინაიდან სოფლის ცხოვრებაში დიდი ცვლილება არ შეუტანია მაინც და მაინც ძველი მთავრობის გადაყენებას და ახალის დამყარებას. სოფლის მუშის გონება ისე ადვილად ვერ ითვისებს ახალ წეს-წყობილებას, როგორც ქალაქის მუშების, ამიტომ ადვილად ატყუებენ მას (სოფლის მუშებს) ხალხის მტრები და მისივე არჩეულ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებენ, ამაში რა საკითხია, სოფლის დიდ უმრავლესობას ბრალი არ მიუძღვის.

ვ. ვ.

ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან

ნაციონალიზაცია და შტატების შემოკლება.

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის ყრილობამ, რომელიც დამთავრდა 30 ივნისს, მიიღო მთელი რიგი სარეფორმო საკითხები და სხვათა შორის, სასწრაფოთ ცხოვრებაში გასატარებლად ნაციონალიზაციის და შტატების შემოკლების საკითხებიც. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყრილობას არ განუხილავს, რომელი საკითხი უნდა გატარდეს უწინ ცხოვრებაში—ნაციონალიზაციის, თუ შტატების შემოკლების.

ვერც ფოსტა-ტელეგრ. ცენტრალურ გამგეობამ დაინახა ამ ორი საკითხის ერთი მეორესთან დამოკიდებულება და წარუდგინა მთავრობას ისეთი მოხსენება, სადაც აღძრულია, როგორც საოლქო მართველობის რეორგანიზაციის საკითხი, აგრეთვე ჯამაგირების მომატების, შტატების შემოკლების, ნაციონალიზაციის და სხვა საკითხები.

მაგრამ, ფოსტა-ტელეგრ. ცენტრალურ გამგეობას დავიწყებია, რომ, როდესაც ჩვენ მთავრობას მოხსენებას ვურდგენთ და მოვითხოვთ რეფორმებს ამა თუ იმ უწყებაში, ჩვენი ვალია დასაბუთებულათ აღვნიშნოთ მოხსენებაში, რომელ გზით უფრო ადვილათ და უმტკივნეულოთ შეიძლება აღძრული საკითხების გატარება ცხოვრებაში.—

აღნიშნულ ცენტრალურ გამგეობას, რომ ცოტა მეტი შრომა გაეწია და თავის მოხსენებაში საკითხები არ აერია ერთი მეორეში, ან სრული იზოლიაცია მათ შორის არ მოეხდინა, შეიძლება ჩვენი მთავრობა უწინარეს ყოვლისა არ წამოგვიყენებდა შტატების შემოკლების საკითხს. ეს უკანასკნელი კი შორეულ მომავლისთვის ტოვებს ნაციონალიზაციის და სხვა საკითხებს.—

ჩვენი ღრმა რწმენით ნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებულია შტატების შემოკლების საკითხი, ამასთან ჯამაგირების მომატების, რეორგანიზაციის და სხვა საკითხები. ამიტომ ჩვენ შევეცდებით დასაბუთებულათ ვიმსჯელოთ ამ საკითხზე და გავუწიოთ ერთგვარი დახმარება, აგრეთვე ფოსტა-ტელეგრ. ცენტრალურ გამგეობას თავის მუშაობაში.

ჩვენ წინ არის ოფიციალური სტატისტიკური ცნობები, ამოღებული ამ უკანასკნელ დღეებში.—

ცნობები გვეუბნება: მთელ საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება ფოსტა-ტელეგრ. ყველა კატეგორიის მოსამსახურე, შემდეგი ეროვნებისა:

ქართველები . . .	1096	მოსამსახურე
რუსები	761	„ „
სომხები	265	„ „
თათრები	19	„ „
ბერძნები	6	„ „
გადმოხვეწილნი	428	„ „
სულ . .	2575	მოსამსახურე

საქართველოს ფოსტა-ტელეგრ. ყრილობამ, გამოიმუშავა ნორმალური შტატები და დასასრულ მიიღო ჯამი, სადაც ნათქვამია: ყველა დარგის მოსამსახურენი საქართველოს ფოსტა-ტელეგრ. უწყებაში უნდა იქნეს არა ნაკლებ 1871 მოსამსახურისა.

ამრიგათ, ჩვენ შეგვიძლია შტატი შევამციროთ 704 სხვადასხვა კატეგორიის მო-

სამსახურით. მაგრამ, ჩვენ თუ პირველათ დავაყენებთ ამ საკითხს და შემდეგ ნაციონალიზაციის საკითხს, ამით ზედმეტ ხარჯს მივცემთ ჩვენ ხაზინას და საზოგადოებაც თავის დროზე ვერ ეღირსება ნაციონალიზაციას, ურომლისოდაც მას საშუალება არ ექნება თავის დედა-ენაზე ჰგზავნოს დეპეშები და ბარათები.

ჩვენ ოფიციალური წყაროებიდან ვიცით, რომ ამ ორ უკანასკნელ წლებში მიღებულია ფოსტა-ტელ. უწყებაში შვიდასამდე მარტო ქართველი, მაშასადამე, თუ პირველათ შტატების შემოკლებაზე ვიზრუნებთ, ამ უწყებიდან წავლენ შვიდასამდე თითქმის ყველა ქართველები და შემდეგ დაგვრჩება უწყებაში ოთხასამდე ქართველი.

ყველასათვის ცხადია, რომ გაეროვნებულ ფოსტა-ტელეგრ. უწყებას ასეთი ცოტა რიცხვი ქართველი მოსამსახურეებისა დახმარებას ვერ გაუწევს და მთავრობა იძულებული იქნება ნაციონალიზაციის საკითხი ან შორეულ მომავლისთვის გადასდვას, ან და დაითხოვოს ის მოსამსახურენი, რომლებიც უწყებას ვერაფერ სარგებლობას ვერ მოუტანს და ხელმეორეთ მიიღოს ის ქართული ენის მცოდნე მოსამსახურენი, რომლებიც შტატის შემოკლების დროს დათხოვნილი იქნებიან. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ბევრს დაჰკარგავს ჩვენი ისედაც ღარიბი ხაზინა.

როდესაც შტატების შემოკლების დროს დათხოვნილი იქნება 704 მოსამსახურე მათ შორის დიდი უმრავლესობა ქართველები, ყველას მიეცემა სალიკვიდაციო ფულები; მაგრამ, როდესაც ნაციონალიზაციის მიხედვით მთავრობა იძულებული იქნება დაითხოვოს ისეთი მოსამსახურენი, რომელნიც სარგებლობას ვერ მოუტანენ გაეროვნებულ უწყებას, კიდევ ხელახალი ხარჯი ხაზინას და კიდევ სალიკვიდაციო ფულები დათხოვნილ მოსამსახურეებს.

ვინ უნდა მიიღოს მთავრობამ დათხოვნილ მოსამსახურეების ადგილზე? რა თქმა უნდა ის ქართული ენის მცოდნე პირნი, რომელნიც დათხოვნილი იქნებიან შტატების შემოკლების დროს და რომლებიც პირველათ მიიღებენ სალიკვიდიციო ფულს.

ამრიგათ, რომ დავიცვათ ჩვენ ღარიბი ხაზინის ინტერესები და საქმე არ გავაძნელოთ, მთავრობამ უპირველესად უნდა გაატაროს ნაციონალიზაცია—ფოსტა-ტელეგრ. უწყებაში, სადაც მსახურობს ახლა როგორც აღვნიშნეთ ზევით, 1096 ქართველი მოსამსახურე.

სულ მოთხოვნილია ფოსტა-ტელ. ყრილობისგან 1871 მოსამსახურე,—მაშასადამე დაგვაკლდება 775 მოსამსახურე. ეს უკანასკნელი რიცხვი არ შეგვიძლია რუსებით და სომხებით შევამსოთ, რადგანაც ქართული ენა ყველამ არ იცის, და ჩვენის რწმენით, სხვა ეროვნებიდან—ქართული ენის მცოდნე მოსამსახურენი არ აღემატება 500 კაცს. და თუ ჩვენ კიდევ დაგვაკლდება 275 მოსამსახურე, შეგვიძლია ან მოსამზადებელი ფოსტა-ტელეგრ. სკოლა გავხსნათ და მოვამზადოთ ახალი მოხელეები, ან დავუცადოთ ქართველ მოხელეებს, რომლებიც ადერბეიჯანის და არარატის რესპუბლიკებში მომწყვდეულან, ან და შეუნახოთ ეს თავისუფალი ადგილები იმ არა ქართველ პირებს, რომლებიც არ მოისურვებენ თავის სამშობლოში წასვლას და მოკლე ხანში ქართულ ენას შეისწავლიან იმდენათ, რომ საშვალება ექნებათ მათ დაბრუნდნენ და ჩვენთან იმსახურონ. ამნაირათ, ჩვენ თუ ნაციონალიზაციის საკითხს პირველათ გადავწყვეტთ, თავისთავად სწყდება შტატების შემოკლების და სხვა საკითხებიც და ზედმეტ ხარჯებისგან ხაზინასაც გავანთავისუფლებთ.

ჩვენის აზრით, შეიძლება ეს საკითხები (იგულისხმე ნაციონალიზაცია და შტატების შემოკლება) გადასწყდეს მეორე გზითაც ასე: დათხოვნილ იქმნას ყველა ფოსტა-ტელეგრ. მოსამსახურე და ერთ დროულად გაიხსნას მიღება მხოლოდ იმ პირების, რომელთაც ქართული ენა ეცოდინება და ვინც მიუღებელი დარჩება, მათ კი უნდა მიეცეს სალიკვიდაციო ფული.

აი სწორეთ ამ ორი გზის მეტი, უმტკივნელოთ რომ გადავჭრათ ნაციონალიზაციის და შტატების შემოკლების საკითხები, არ არის და მთავრობამაც ამ ორ გზაში, ერთი გზა უნდა აირჩიოს, მესამე გზა არ არის.

ადამ ბელტი.

ს.-დემ. პარტიაში

ნიგოითი. (გურია) 12 ივნისს აქ მოხდა ადგილობრივ ს.-დ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება: დღიური წესრიგი: 1. მოხსენება მომენტის შესახებ, 2. დაშლილი ორგანიზაციების აღდგენა, ხელ ახალი არჩევნები და სხვა; მოხსენებას აკეთებს სათემო კომიტეტის წევრი ამხ. ანანია სალუქვაძე. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ნიგოითის საზოგადოების ს.-დ. პარტიის წევრების საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. კრება იწონებს ჩვენი მთავრობისა და საზავო დელეგაციის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ვგრძნობთ, რომ მათ გააკეთეს ყოველივე ის, რისი გაკეთებაც შეიძლებდა, ყოველივე ჩვენი არსებით დავიცავთ საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას და ვეცდებით შევინარჩუნოთ ის. მეორე კითხვის შესახებ კრება ავალებს თვით კოლექტივის წევრებს ეხლავე შეუდგენ ყოველგან სისტემატიური პარტიულ მუშაობას და შემდეგ მოწვეულ იქნას საერთო კრება, სადაც მოხდება სრული რეორგანიზაცია. გურიის ცენტრალურ კომიტეტში გასაგზავნათ არჩეულ იქნა ამხ. დიმიტრი ფირცხალაიშვილი. იმავე ღამეს შესდგა კოლექტივის სხდომა, სადაც გამოიმუშავეს სამუშაო გეგმა, თუ როგორ უნდა აღადგინონ დაშლილი პარტიული ორგანიზაციები, საჭიროა მეტი სიფრთხილე და დაკვირვებული მუშაობა.

მეორე დღეს აქ მოწვეული იყო მთელი საზოგადოების კრება, სადაც უნდა აერჩიათ ახალი კომისარი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში სამხელ მოხდა კომისარის არჩევნები. პირველათ აქ არჩეული იყო კომისარათ ამხ. ლადიკო სამსონაძე. ის კარგა ხანს შერჩა ამ ადგილს და პირნათლადაც შეასრულა თავის მოვალეობა, მაგრამ როცა ის გავიდა სამსახურიდან შემდეგ არჩევნები არჩევნებზედ ხდება, რაც საქმეს აფერხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ზოგიერთი მოწინავე ამხანაგები გაურბიან განსაკუთრებით ამ მოვალეობას და მოსალოდნელია ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმე ისეთ პირს ჩაუვარდეს ხელში, რომელიც ბოროტათ გამოიყენებს. აგრეთვე სამწუხაროა ის შეხედულებაც, როცა ზოგიერთები უსასყიდლოთ ფიქრობენ კომისარის დაყენებას,—აქაც საფრთხეა მოსალოდნელი. კრებამ აირჩია ახალი კომისარი ე. აროშიძე, მაგრამ იგივეა მოსალოდნელი, რადგანაც ის კატეგორიულ უარს ამბობდა, მაგრამ საჭიროა ეს არჩევნები დამთავრებულათ ჩაითვალოს, საჭიროა ყოველ დღე არჩევნებს ავცდეთ. ამავე კრებამ განიხილა სურსათის საკითხი. გამოირკვა, რომ სიმშილის აჩრდილი მოახლოვებულა სიმინდის რეკვიზიცია თავის დროზე ვერ მოხდა. სიმინდი თუ სადმე იყო ჩუმათ გაიყიდა, მცხოვრებლები დამშეულია. კრებამ აირჩია ერთი კაცი, რომელმაც უნდა იზრუნოს ამ საქმის შესახებ.

თოფკა.

ჯარის-კაცთა წერილები

ჩვენ დაჭრილი ჯარისკაცები: არტემ იაკობიძე, ნოე გვენეტაძე, აკაკი ბაზალაშვილი, ვარდენ აბრამიშვილი და დომენტი ტყემალაძე, რომელნიც დავიჭერით ქალაქ ბათუმში ბრძოლის დროს და ამ ჟამად დაბრუნებული ვართ ჩვენ სამშობლოში, ვალდებულათ ვრაცხთ ჩვენ თავს გულითადი მადლობა ვუძღვნათ ტფილისის № 1 წითელი ჯვრის ლაზარეთის ყველა უფროსებს მათ ერთგულ მოვლისთვის და თვალ-ყურის დევნებისთვის.

ჯარისკაცი ა. იაკობიძე.
ტფილისი, 7 ივლისი.

პროვინცია

ფოთი. რუსეთში მიმავალი მგზავრები იძულებული არიან ამიერ-კავკასიის ფული შესცვალონ რუსეთის ფულზე. ამით სარგებლობენ ჩარჩები და ფულის გაცვლაში ახდევინებენ საკომისიოს. ამიერ-კავკასიის ფულის, მაგალითად, ათ მანეთში ისინი აძლევენ შვიდ მანეთს. ეს, რასაკვირველია, სცემს ჩვენი ფულის ღირებულებას. აი შედეგიც: ერთი ბერძენი, მაგალითად, ჰყიდის „ბუბლიკებს" ფუთს 140 მან. რუსეთის ფულზე, ხოლო ამიერ-კავკასიის ფულზე—150 მან.

მივაქცევთ მთავრობისა და ქალაქის თვითმართველობის ყურადღებას ამ გარემოებას. საჭიროა, დაარსებულ იქნას სპეციალური ბანკი ან სხვა დაწესებულება მგზავრებისათვის ფულის გასაცვლელათ. ამ დაწესებულებას შეუძლია აიღოს პროცენტები ფულის გაცვლაში და ეს ზომა რამოდენიმეთ მაინც დაიცავს ჩვენი ფულის ღირებულებას.

— ზოგიერთი მილიციონერები ხშირათ უდიერათ ეპყრობიან მოქალაქეებს. განსაკუთრებითი ყურადღება დაიმსახურეს ამ მხრივ კომისარ მამულაშვილის მილიციონერებმა.

— ნავსადგურში შემოვიდა გერმანიის ჯარებისთვის ფქვილით დატვირთული ერთი გემი. მოელიან მეორე გემსაც ფქვილით საქართველოს საჭიროებისათვის.

უკანასკნელ დროს ქალაქში აცხობენ მუხუდოს მჭადს, რომელმაც, მისი ცუდათ გამოცხობის გამო, ბევრ ოჯახში ავადმყოფობა გამოიწვია. საჭიროა ეხლავე შეწყდეს მუხუდოს გამოცხობა ფურნეებში და ის ფქვილათ გაიყიდოს, ვინაიდან ოჯახებში მას უფრო კარგათ გამოაცხობენ.

X.

ს. ქვემო-მაჩხაანი. 29 თიბათვეს, ს. ქვემო მაჩხაანში, ადგილობრივ ახალგაზ. და მოწაფე სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართა წარმოდგენა, ადგილობრივ სიღნაღის მაზრის წითელი გვარდიის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქნა ოთხი მხიარული კომედია: 1) „ცოლ-ქმრობის წინამდეგ"; 2) „მოულოდნელი შემხვედრა", 3) „დატრიალდა ჯარა" და 4) „მოქალაქის სიზმარი". ხალხი ბლომად დაესწრო. პიესები მხიარულად ჩატარდა და ხალხიც ნასიამოვნები დაიშალა.

წმინდა შემოსავალი დარჩა 50 მანეთი.

გიორგი ნადირაშვილი.

ს. კორბოული (ზემო იმერეთი). ზემო იმერეთში წრეულს ერთი მტკაველი ადგილიც არ დარჩენილა დაუთესავი. ასე რომ ეს მხარე მომავალში თითქმის სავსებით უზრუნველყოფილი იქნება სურსათის მხრით.

ამ ჟამათ ბევრ სოფლებში შიმშილობაა, სიმინდის მაგიერ ლობიოს ფქვავენ და მითი იკვებებიან. ბაზარზე ფქვილი სრულებით არ იშოვება. ამ ბოლო დროს ველარც სამეგრელოში შოულობენ სიმინდს, რის გამოც მცხოვრებთა გაჭირვება აუწერელია.

დიდათ აღშფოთებულია მცხოვრებნი აგრეთვე მობილიზაციით. „მოხუცებულ და დავრდომილ მშობლებს ნიკოლოზიც კი გვიტოვებდა ერთად ერთ მარჩენელს, მხოლოდ ახალი მთავრობა კი ამასაც გვტაცებს. ეს მაშინ, როდესაც ჩემს მეზობელს 4—5 ვაჟკაცი—შვილი სახლში ურჩება"... წუწუნებენ მოხუცებული სოფლათ. სასურველია ჩვენი მთავრობა სავსებით არ გააუქმებდეს ოჯახურ შეღავათს. ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა დიდი გავლენა მოახდინეს მშობელ ნათესავებზე... შეიძლება ითქვას, რომ სულიერი განწყობილება სოფლად ბოლშევიკურია, მაგრამ ამ ბოლო დროს ბოლშევიკურ გამოსვლებს და ექცესებს აქეთ ადგილი აღარ აქვთ..

ახალ—ბელა.

სამტრედია. 1 ივლისს გაირჩა ჯარისკაცების სიმონ და პლატონ გიორგის ძე კილაძეების საქმე, პირველს ბრალდებოდა ფრონტიდან გაპარვა სახლში და სახაზინო ნივთების მოპარვა; მოწმეები იქნა დაკითხული, რომელთაც დაადასტურეს წამოყენებული ბრალდება. მეორეს, სიმონის ძმას ბრალათ ედებოდა საპატიმროდან გაქცევა და აგრეთვე ხელის შეწყობა ძმისთვის ქურდობის დროს. გამოირკვა, რომ პლატონი გაპარულა ციხიდან, მაგრამ შემდეგ თავის ნებითვე დაბრუნებულა, რისთვისაც ის იქნა ტრიბუნალის მიერ დამნაშავეთ აღიარებული. ამ საქმეებზე დაკითხულ იქნა უკანასკნელთა მამა გიორგი კილაძე, რომელმაც სისწორით არ აჩვენა ყოველივე, რისთვისაც ისიც, როგორც ცრუ მოწმე, ტრიბუნალმა დამნაშავეთ იცნო. სიმონ გ. კილაძეს ტრიბუნალმა მიუსაჯა 15 წლის კატორღა. პლატონ კილაძეს ციხიდან გაპარვისათვის 3 თვით ციხეში ჯდომა. რაც შეეხება გიორგი კილაძეს ტრიბუნალმა მიიღო მხედველობაში მისი მდგომარეობა, როგორც დასჯილი შვილების მამის და სასჯელი აპატია.

ტრიბუნალმა საჭიროთ სცნო ეს დადგენილება გამოცხადებულ იქნეს ხსენებულ პირთა საზოგადოების ე. ი. ფარცხანაყანების საზოგადო მიტინგზე. ბრალმდებელმა ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელი სიმონ კილაძის შესახებ, რომელსაც 15 წლის კატორღა აქვს მისჯილი არ სცნო საკმაო სასჯელათ და განაცხადა პროტესტი. ამავე დღეს ტრიბუნალმა გაარჩია ყოფილ ჯარის-კაცის გერმანე ჯაშის საქმე, რომელსაც ბრალათ ედებოდა რამდენჯერმე რევოლვერის გასროლა, რაც თვითონვე აღიარა. აგრეთვე გამოირკვა, რომ მას ნებართვა რევოლვერის ტარების არ ჰქონდა. ერთის მხრივ უნებართვოთ რევოლვერის ტარების და მეორეს მხრივ სროლისთვის ტრიბუნალმა მას მიუსაჯა ექვსი თვით ციხეში ჯდომა.

აბაშის რაიონი. ეს რაიონი განთქმული იყო სიმინდით. ამის გამო საქართველოს დამშეულ კუთხეებიდან აქ მოაწყდენ დამშეულები. ამათ აწეულ ფასებში შეისყიდეს სიმინდი და დღეს მთელი რაიონი დამშევის კარებზეა. აბაშის რაიონის კომისარი პეტრე ჩოხელი ღებულობს ყოველგვარ ზომებს, რომ შიმშილობა უმტკივნეულად ჩატარდეს, მაგრამ საეჭვოა, რომ მან მიზანს მიაღწიოს, თუ გარედანაც არ დაეხმარენ. აუცილებლად საჭირო იქნება რაიონში სიმინდის ან პურის ფქვილის შემოტანა დაჩქარებით.

აბაშაში საკმაოდ მდიდარი სამკითხველო არსებობდა. დღეს ვაჭრები მოგებით გატაცებულა, ინტელიგენცია გასართობებით. ხოლო ყოველგვარ კულტურულ საქმეს წესი ეგება. აბაშასებურ წვრიმალ და უსიცოცხლო გარემოს ძვირად შეხვდებით. საზოგადო ინიციატივა მათ არ ჩვევიათ. აბაშა ყოველ კულტურულ-ეკონომიურ დასაწყისს აიტანდა, რომ ესენი ფხას გამოიჩენდენ. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ვაჭრების ერთ ჯგუფს განუძრახავს აბაშაში დაარსოს საბებიო თავშესაფარი. ცდილობენ აგრეთვე სამკითხველოს წამოყენებასაც. თუ ეს ორგულობით ვერ მოახერხეს, ჩვენ გამოვაქვეყნებთ იმათ სახელს და გვარს, ვინც ახლოს დგას ამ საქმესთან და თავს არ იწუხებს.

აბაშის საავადმყოფოც საშინელ პირობებშია. ავადმყოფები აღნიშნავენ საექიმო პერსონალის სიზარმაცეს, რასაც ალბათ მომავალში ადგილი არ ექნება.

ახალი სადგურის უფროსი ფორმალობას მხოლოდ იმას ახმარს, რომ ადგილობრივ კომისარს შეუშალოს ხელი მოვალეობის შესრულებაში. თუ რაიმე დანაშაულობაში შენიშნულ პირმა ფეხი გადადგა რკინის გზის საუფროსოში (ოტჩუქდენიე), ის უზრუნველყოფილია. ის ყაჩაღიც რომ იყოს, იარაღს არავინ ახდის, არც დააკავებენ რკინის გზის ბოლშიც ხშირად ხდება უწესოება, რაც უყურადღებოთ რჩება.

აქ სისტემატიური ქეიფობა შემოიღეს, რასაც უთუოდ უნდა მიექცეს ყურადღება. ღვინის ხმარების მხრით აბაშაში განსაკუთრებული თავისუფლებაა, რაც უნდა მოისპოს.

რაიონში მოსავალს კარგი პირი უჩანს. სოფლის მუშებიც ჩვეულებრივის ენერგიით მუშაობენ. ბოლშევიკების სახე სავსებით გამოაშკარავებულია რაიონის მცხოვრებთათვის. მათ საკუთარი სახელი მოუნახეს. სძულთ ისინი, მაგრამ ემდურიან ჩვენს მთავრობასაც: თუ მთავრობამ სიმტკიცე არ გამოიჩინა და ყველას აპატია დანაშაული, ბოროტებას ბოლო არ მოეღება. მართლაც თავაშვებულებას აქვს აქაიქ ადგილი. დაცემა კვლავ გახშირდა. ხალხი მზათაა სახელმწიფოებრივ ცოვრებისთვის და წესიერების დამცველ სასტიკ მთავრობას მოითხოვს.

ფ—ლი.

ტფილისის უნივერსიტეტი

შემოწირულებანი.

უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო: ი. გველესიანისაგან ცხრა ცალი ჟურნალი „მიწ" და „გლეხი"; ხონის გიმნაზიის დირექტორის მ. გ. ჭავჭანიძისაგან 426 მან. 50 კაპ; ქუთაისის გამოცემის ამხანაგობა „განათლებისაგან": ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის მოკლე ისტორია" პირველი წიგნი და ალ. წერეთლის „მსოფლიო ისტორია", „პირველ დაწყებითი კურსი", პირველი ნაწილი, „ძველ საუკუნეთა ისტორია"; ალ. ჯაბადარისაგან მისი მდიდარი წიგნთსაცავი, გ. თ. ჟორდანიასაგან მისი მამის მიერ დატოვებული წიგნთ-საცავი სხვადასხვა მდიდარი ძველი ხელთ-ნაწერები; მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის ალ. ვლ. ტიხონოვიჩისაგან, განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად, ათასი მან.; მცხეთის მომხმარებელ საზოგადოების „კერა"-საგან სამასი მან.; საერობო კავშირის აღმასრულებელ კომიტეტისაგან—კავშირის წიგნთ-საცავის 1,087 ცალი სხვადასხვა სამეცნიერო შინაარსის წიგნები; სვიმონ კლდიაშვილისაგან 62 წიგნი გერმანულ ენაზე და რამოდენიმე წლის სამეცნიერო ჟურნალები გერმანულსა და სხვა ენებზე.

უნივერსიტეტის გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

ცნობები

ჯარის კაცი ვარლამ ლუკას ძე აფხაიძე მსახურობდა ქართულ ნაწილში, მონაწილეობას ღებულობდა ბათუმის ფრონტზე ბრძოლაში, შემდეგ გაგზავნილ იქნა ნაკირალში. რამოდენიმე თვეა მის შესახებ მშობლებმა არაფერი იციან. თუ ვინმემ რაიმე იცით მის შესახებ, გთხოვთ შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით: სოფ. ლაში მანდიკორის საზოგადოება ქუთაისის მაზრა ლუკა ივანეს ძე აფხაიძე.

ჯარის კაცი ალექსანდრე ფარნაოზის ძე კიკაჩეიშვილი მსახურობდა პირველ პოლკში პირველ პულემიოტის კომანდაში პირველ ვზვოდში. მონაწილეობას იღებდა ანარიის ფორტზე ბრძოლაში. მის შესახებ მშობლებმა არაფერი იციან. თუ ვინმემ იცით მის შესახებ რაიმე, გთხოვთ შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით: სამტრედია, ქართული სამკითხველო სპირიდონ კიკაჩეიშვილს.

თევდორე კრისტეფორის ძე თარგამაძე მსახურობდა მეორე ქვეითა მსროლელ პოლკის ცხენოსან მზვერავ რაზმში, ბათუმის დაცემის შემდეგ მისი არაფერი იციან ჭირისუფლებმა, გთხოვთ მის ამხანაგებს (1 აპრილს ის გაგზავნილ იყო მახინჯაურისკენ) გვაცნობონ თუ რამე იციან შემდეგი მისამართით: ოზურგეთი 2 ქართული მსროლელი პოლკი 1 როტა. ჯარის კაცი სერაპიონ თარგამაძე.

25 ივნისს № 118 ეტლში დამრჩა პორთფელი, რომელშიაც იყო სხვადასხვა დოკუმენტები სერბინოვსკის სახელზე,

300 მანეთს

მიიღებს საჩუქრად ის, ვინც მაცნობებს სად არის ნაპოვნი ჩემი პორთფელი ან მომიტანს ბინაზე შემდეგი ადრესით: დიდუბე ქუთაისის ქუჩა № 19, სერბინოვსკისათვის. 1—1

ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

ექიმი ვ. კედიაშვილი.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

ექ. ქალი რ. ბ. შიოლო-საბაშვილისა

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა სახლი № 83. ტელ. № 9—26.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი.

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—6 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმ რო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანს, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, ხან. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

გაიხსნა თვალის სამკურნალო
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის

ექიმ დონხინისა.

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდში"

ოთხშაბათს 10 მკათათვეს 1918 წ. „ქართველ მომღერალთა გუნდი"

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს 3 გამყოფილებათ

სახალხო კონცერტს

გუნდი შეასრულებს ძველ სახალხო სიმღერებს გადაღებული ძველ მუსიკოსების მიერ და სხვათა შორის „თამარ ქალო"-ს. მონაწილეობენ ძმანი კავსაძენი. ლ. ჯანდიერი, ი. სალირაშვილი, ი. უსტიაშვილი და სხვ. დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება კასაში. დაწვრილებით პროგრამებში.

(2—2) გ-მგე ნიკო კავსაძე.

გერმანიის საიმპერატორო დელეგაციას თან მოყვა აგრეთვე

სამეურნეო განყოფილება

რომლის ბიურო მოთავსებულია გრიბოედოვის ქ. № 18-ში. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღეებს გარდა) დილის 11—12 ნახ. საათამდე. (4—3)

შაქარი

ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვიების შაქრის გაყიდვა ქალაქის დუქნებში დაიწყება ამა წ. 8 ივლისიდან დანარჩენ ადგილებში 15 ივლისამდე შაქარი მიეცემათ ყველა იმათ, ვისაც ჯერ კიდევ ივნისის წილი არ მიუღიათ. მსურველთ ნება აქვთ სამი თვის შაქარი წინდაწინ ერთბაშათ გამოიტანონ. შაქარი გაიყიდება ამა წლის 5 ივლისს ქამგეობისაგან დაწესებულ ნიხრის თანახმათ:

შაქარი რაფინადი . . . . 1 მ. 50 კ. გირვ.
შაქარი ფხვნილი . . . . 1 „ 42 „ „

ვისაც ივნისის თვის შაქარი ჯერ კიდევ არ მიუღია, მას შეუძლია 15 ივლისამდე შაქარი ძველი ნიხრის თანახმათ მიიღოს. (3—1)

მოითხოვეთ სამკურნალო

ბორჯომის წყალი

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით") მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.

მისამართი: ბორჯომის კანტორა, „ბორჯექსპორტი". (15—7)

სამხედ. რკ. გზების მოსამსახურეების საყურადღებოთ

სამხედრო რკინის გზების მმართველობის მუშები და მოსამსახურენი, რომლებსაც არ მიუღიათ სრულად ანგარიში თავიანთ სამართველოსაგან და ამ ჟამად სცხოვრობენ ქ. თფილისში, ვალდებულნი არიან 8, 9 და 10 ივლისის განმავლობაშ ჩაეწერონ შრომის სამინისტროს კომისიაში (პეტრე დიდის ქ. № 8) დილის 9—1 საათ. და საღამოს 6—8 საათ.

ჩაწერის დროს აუცილებელია წარადგინონ პიროვნების შესამოწმებელი და რკინის გზაში ნამსახურობის მოწმობა. ცოლშვილიანებმა უნდა წარადგინონ აგრეთვე დასამტკიცებელი საბუთი, რომ მათი ცოლშვილი თფილისში იმყოფება. (2—2)

განცხადება

სასურსათო განყოფილების, ტყავის განყოფილება აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ ოთხშაბათს, 11 ივლისიდან დილის 9—1 საათამდე ფირმა „პროვოდნიკში" (სოლომონის ქ.) სასურსათო ბარათებით გაიყიდება ქ. თფილისის მცხოვრებლებთათვის საშუალო ზომისა ფეხსაცმელი „სანდლები" „სკოროხოდის ფირმისა. (3—2)

ტფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება

სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) იხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი

კურსები

მეცადინეობა სალამოთი; სამჯერ კვირაში მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. მეცადინეობა დაიწყება—მიმდინარე წლის 5 ივლისიდან. ჩაწერა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—9 საათ., აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი 26) დილის 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ.

მსწრაფლ-მბეჭდავი [illegible] რეხტის, გამგევის შესახვევი, № 1.